



გაზეთი გაეშალა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამბრაღიის

N6 (9258)

28 თებერვალი. 2018 წელი

ფასი 50 თეთრი

ღენის ღღეს და 8 მახეს გილოცავთ!



რანახარებურმა
ოჯახებმა
კომპენსაცია
მიიღეს

2

წევრებით, თვითონვე
გაქვითვები ირეები
ჩვენთან ჩაქვითით



3

2 მუნიციპალიტეტის საკრებულო
დროებითი
კომისიები დაამტკიცა

სამხედრო ეხატისტი გოგონები
ჯვავ იმახვებენ

სამხედრო ეხატისტი
დაამტკიცა
ჩვენთან ჩაქვითით

3



8 "ახლან რომ დასჭირდეს მკვანას, უმაღ საბრძოლველად წაგაღ!"

მუნიციპალიტეტის საკრებულომ დროებითი კომისიები დაამტკიცა

6060 ნაწილაკი

19 თებერვალს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად 11 საკითხი იყო გამოტანილი. ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ უღრელიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის 23-ე დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სამოქმედო პროგრამის ცვლილების შესახებ. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტში უკვე განსაზღვრულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს დაემატა ახალი პროექტები, სულ 5 მილიონამდე თანხის ღირებულებების.

19 თებერვლის საკრებულომ ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნულ ცვლილებას. მომხსენებელმა, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, შალვა არზუმანიანმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს მოახსენა 2018 წლის იანვრის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი. ცნობისათვის – სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2018 წლის იანვრის ბიუჯეტი 102 პროცენტით შესრულდა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ გააკეთა მოხსენება იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამხრეთ-დასავლეთ კომისიის თავმჯდომარემ. მანანა სირბილაძემ საკრებულოს მოახსენა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელმძღვანელო და სიმბოლიის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.

19 თებერვლის საკრებულომ დროებითი კომისიების დებულება დაამტკიცა, ასევე დაამტკიცა სახელმძღვანელო და სიმბოლიის დროებითი კომისიის წევრები.



დაზარალებულმა ოჯახებმა კომპენსაცია მიიღეს

6060 ნაწილაკი

ბატონი ბადრი ხილის მოსავალს არც წელს ელოდებოდა. დაბლა გომში ერთმანეთის გვერდგვერდ მცხოვრები ჩხაიძეების ორი ოჯახი, დაახლოებით, 5 წელია, საკუთარი თვალთა უმჯობესი მეწვერი საკარმიდამო ნაკვეთს როგორ ართმევს და თან მიაქვს მათი ოჯახის ძირითადი სარჩო-საბადებელი.


საცხოვრებელი სახლის უკან მდებარე ეზოები ჩხაიძეებს პრაქტიკულად აღარ გააჩნიათ. ოჯახის უფროსის შეფასებით, მეწვერულმა მოვლენებმა, რომელიც ბოლო სამი წელია, ძალიან გააქტიურდა, საკარმიდამო ნაკვეთის 70 პროცენტით წაართვა.

მეწვერმა ორი დღის წინ ბადრი ჩხაიძეს ახლად აშენებული ძროხის კაპიტალური საბმულიც დაუზღვრა. დაზარალებული ოჯახი იმასაც არ გამოირჩნავს, ერთ მშენიერ დღეს სახლის გარეშეც დარჩეს. ამაზე სახელმწიფომ უკვე იზრუნა, დაზარალებულისთვის 26 000 ლარი გამოყო, რითაც ოჯახმა ქუთაისში ბინა იყიდა.

2017 წელს სახელმწიფოსგან კომპენსაცია აქვს მიღებული სოფელ საჯავახოს მცხოვრებ რომან ჩაჩუას ოჯახსაც. კაპიტალური ორსართულიანი სახლი წინ მტერს რომ უვსებს თვალს და უკან მოყვარეს, 15 წელზე მეტია, ქვათა ცვენას განიცდის.

სტატიისტიკის მიხედვით სამტრედიის მუნიციპალიტეტში 200-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთია დამეწვერილი, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საგარეულები და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები.

2016 წლიდან დღემდე სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა შემოსული განცხადებების საფუძველზე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სახელზე წერილები მომზადდა. სპეციალისტებმა ადგილის შესწავლის შემდგომ წარმოადგინეს შესაბამისი გეოლოგიური დასკვნა დანიანების ხარისხის მიხედვით, რომლის საფუძველზე 7-მა დაზარალებულმა ოჯახმა კომპენსაცია მიიღო.



გაზაფხულდა

ლევან გაბუნაძე

გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების უნიფორმიანი თანამშრომლების ხილვა არაა მხელი ქალაქში. ამ დღეებში რესპუბლიკის ქუჩაზე მუშა პროცესი აღებუჭვდეთ.

მრვაალწლიან ყვავილოვან მცენარეებს რგავდნენ აქ მებადე დეკორატორ მარინე იობაძის ხელმძღვანელობით.

წარმოშობით წყალტუბოელი გაბუნაძე, სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული, დიდი ხანი არაა, რაც გაერთიანებაში ვმუშაობ, ქალაქში ყველა უბანს მოვიცავთ, ძირითადად ისეთ მცენარეებს ვრგავთ, რომლებსაც საქონელი არ ჭამს, რა ვქნათ, ყველაფერს ვითვალისწინებთო, ქალბატონმა მარინემ.

გაზაფხული მოვიდა, მალე გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების თანამშრომლებს სამუშაო კიდევ უფრო მოეძალება.

რაც შეეხება ახალნარგავებს ისინი მალე მეტ პეწსა და სილამაზეს შესძენენ ჩვენს ქალაქს.

ქალაქს მოხეტიალე საქონლისაგან რამდენიმე მეველე იცავს, ისინი კომუნალური გაერთიანების თანამშრომლები არიან, ბატონი პაატა სტურუა ერთ-ერთია მეველეთაგან, თანაქალაქელებს მეტი სიფხიზლისაკენ რომ მოუწოდებს – მორიდონ ცენტრალურ (და არა მარტო) ქუჩებს საკუთარი პირუტყვი.

პირუტყვი საბალახოზე და არა ქალაქში, აი, მარტივი ჭეშმარიტება.



ჩველები, თოხიუმზე გაეღებოდა ირეები ჩეარობარ ჩაქციოთ

ნათია ნაცვლიძე

თებერვალში, თბილისის საკრებულოს შენობაში გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი ახალგაზრდული ფორუმი, რომელსაც საქართველოს 64-ივე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალგაზრდა წევრები დაესწრნენ. ფორუმის ინიციატორი იყო საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია (კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაქვიაძე), ხოლო ორგანიზატორი თბილისის საკრებულო. ფორუმს დელეგატის სტატუსით ესწრებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველაზე ახალგაზრდა წევრი, გონა არველაძე. ასევე სტუმრის სტატუსით მიწვეულნი იყვნენ საკრებულოს წევრები ლაშა რუსია და ვაჟა სტურუა. "სამტრედიის მაცნე" გონა არველაძეს გაე-

საუბრა:

“ფორუმს ესწრებოდნენ ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანიშვილი, თბილისის მერი, კახა კალაძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყეშელაშვილი. ისინი მიესალმნენ ფორუმის მონაწილეებსა და სტუმრებს და აღუთქვეს მხარდაჭერა მათ სამომავლო ინიციატივებში. ფორუმი საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით გაიმართა. მას ასევე დაესწრნენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ფორუმი პირველად ჩატარდა და მისი მიზანი იყო ახალგაზრდობის მეტი ჩართულობა პოლიტიკურ საქმიანობაში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების გაერთიანება ქვე-



ეკანაში მიმდინარე გამოსვლების გარშემო. სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ისეთ თემებზე, როგორცაა: მულტიმუნიციპალური

თანამშრომლობის განვითარება, პოლიტიკის სიძულვილის ენისაგან გათავისუფლება, ახალგაზრდებში ძალადობის აღმოფხვრა, ახალგაზრდული ინიციატი-

ვებისა და პროექტების წახალისება, მონაწილეობის ინსტიტუტის გაძლიერება და ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუნიციპალურ დონეზე თანამშრომლობა, ფორუმზე დასახელებული საერთაშორისო ორგანიზაციებთან ცალკეული მუნიციპალიტეტების წარმატებული თანამშრომლობის მაგალითები, განხილული იყო კიდევ ბევრი სხვა აქტუალური საკითხი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოეწერე რეზოლუციას ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარშემო სამომავლო თანამშრომლობის შესახებ.”

ფორუმი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გაიმართება და სისტემატიურ ხასიათს მიიღებს. ვეცდებით, იქ გაუღებოდა ბული იდეები ჩვენივე მუნიციპალიტეტში რეალობად ვაქციოთ.

მეიქნა ბანკური თანხების საბჭო

27 თებერვალს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ ნუგზარ ჯამბურაის ხელმძღვანელობით გაიმართა გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს შემდგენლობის დამტკიცების შესახებ მოხსენება ბატონმა ნუგზარ ჯამბურამ გააკეთა. მან საბჭოს თითოეული წევრი დაახასიათა, ხაზი გაუსვა მათ პასუხისმგებლობას, გამოცდილებას და წარმატებები უსურვა სამომავლოდ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება შეკრებილი, საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა, მრჩეველმა გენდერული თანასწორობის საკითხებში, ქალბატონმა თამილა კეკელიძემ გააცნო.

გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან: საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიათა (სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიული, საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალურ საკითხთა) თავმჯდომარეები. აგრეთვე, მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის მიერ, ან მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი წინადადებით არჩეული წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარეა საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურა, მდივანი – მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერულ საკითხებში სოფო ახობაძე.

საბჭომ დასახა სამოქმედო პროგრამა, გამოთქვა სურვილი, აქტიურად ითანამშრომლოს და კანონის ფარგლებში შესაბამისი რეაგირება მოახდინოს გენდერული თანასწორობის დარღვევის ნებისმიერი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში.

ლანა ბაგრაძე



თბა ბავშვთა შიშო

ჯერ კიდევ გასულ წელს, საქართველოში წითელას შემთხვევების განხილვა თვალშისაცემი გახდა. 96-დან 94 ლაბორატორიულად დადასტურებული აღმოჩნდა. მიმდინარე წელს აჭარის რეგიონში წითელას ვირუსულმა აფეთქებამ სამტრედიის არსებულ მდგომარეობაზე დაგვიფიქრა. აღსანიშნავია, რომ ბავშვებისგან განსხვავებით, ინფექცია განსაკუთრებული სიმძაფრით მოზრდილი ასაკის ადამიანებში გამოიხატება. ამ შემთხვევაშიც, ძირითადად, სწორედ მოზრდილი ასაკის ქალბატონები ავადდებიან.

სიტუაციაში გასარკვევად საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მარინა თევზაძეს მივმართეთ. როგორც გაიკვია, “წითელა მართვადი დაავადებაა. მიუხედავად აჭარასა და თბილისში არსებული

სამსჯელიანი წითელას დაავადება აქ დაფიქსირდა

განხილული შემთხვევებისა, სამტრედიისში ჯერ დაავადება არ დაფიქსირებულა. მხედველობაში არა ბავშვთა, არამედ მოზრდილთა ასაკი გვაქვს. თუმცა, არც ბავშვთა ასაკის შემთხვევაშია განსაკუთრებული მდგომარეობა.” საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციები და მედიკო-

სები ინფექციის საწინააღმდეგო აცრებზე ალაპარაკდნენ. როგორც მარინა თევზაძე აცხადებს: “ეროვნულ კალენდარში წითელას საწინააღმდეგო აცრების ჩატარება დაბადებიდან 12 თვეზე და 5 წლის ასაკშია მითითებული. ეს ორი აცრა სრულიად საკმარისია, დაავადების

საწინააღმდეგო იმუნიტეტის გამოსამუშავებლად. არის შემთხვევები, რომ ამ ასაკში ბავშვობაში არ არიან აცრილი მოზარდები თუ ზრდასრული ადამიანები. სასურველი კი არა, აუცილებელია, მათ ამჯერად მაინც ჩაიტარონ შესაბამისი აცრა. ვაქცინა უსაფრთხოა იმ შემთხვევა-

შიც კი, როცა ბავშვობაში იგი ჩატარებულია, არ ახსოვს ან, არ იცის ეს ვაქცინა და განმეორებით გაიკეთებს მას. ამისთვის საქმედი ამბულატორიებსა და პოლიკლინიკებს მიმართავენ მსურველები და უბნების მიხედვით ჩაუტარდება მათ შესაბამისი აცრა.”

ხშირი აგიტაციის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში მშობლები უარს ამბობენ ზოგადად აცრების ჩატარებაზე. მიზეზი, ძირითადად, ვაქცინისადმი უნდობლობაა. “კიდევ ერთხელ მინდა დავადასტურო, რომ ვაქცინა სრულიად უსაფრთხოა. ძირითადად ქალბატონები ავადდებიან იმიტომ, რომ დედებს, ბებიებს უფრო აქვთ კონტაქტი დაავადებულ ბავშვებთან. ამ კონტაქტის დროს აუცრელი ადამიანი ადვილად ავადდება. წითელა ბავშვთა დაავადებაა. ბავშვებს უფრო ადვილად გადააქვთ იგი, ვიდრე მოზრდილებს.”

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი დაავადების შესახებ მოსახლეობას ამცნობს, რომ ინკუბაციის პერიოდი, მაქსიმუმ, 21 დღეა. გამოიხატება ცხელებით და მკუელოპაპულოზური გამონაყარით, დაავადების შემდგომი გართულებები – ოტიტით, ენცეფალიტით, პნემონიებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი მარინა თევზაძე იხსენებს, რომ სამოცდაათიანი წლების მერე საქართველოში წითელას ეპიდემია დაფიქსირებული არ ყოფილა. მისი აცრა პირველად 1968 წელს ჩატარდა. ბოლო პერიოდში მშობლები უფრო დაინტერესებული არიან შესაბამისი აცრების ჩატარებით, რაც გარანტიაა ინფექციის თავიდან ასაცილებლად.





დედის დღეს გილოცავთ!

სა, წრფელი სიყვარულისა.

მწელი დაასახელო ერთი მზისქვეშეთში, დედის ფუნქციონირება რომ არ ეძღვროს, რომ არ მიემდინას გულში ჩამწვდომი ფრანგები.

“დედა გადამწვევები შეიღების ბედობისა... ამიტომ საჭიროა, ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული შინ, ოჯახში და გარეთ – საზოგადოებაში, სთესდეს თესლს კეთილსა.

დაიდ, ესმოდეს, შვილი როგორ აღზარდოს, რა აზრები გააერთიანოს, რას ემსახუროს, ვინაიდან მას შეუძლია დაამხოს ერთი და კიდევ ადადინოს” – წერდა ვაჟა ფშაველა.

დედა! ისმინე ქართველის ვედრება:

ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ გაუძღვეს ჭკუძმარტება, უკან პრჩეს კვალი განათლებული... მოუწოდებდა ქართველ დედებს ერთ-ერთ სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე.

...

მარტი, გაზაფხულის პირველი თვენიშანდობლივია და საოცრად სიმბოლური, რომ მარტში აღინიშნება დედის დღე, ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე.

დედაც ხომ დასაბამია ყოველი სულიერისა.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება საქართველოში 3 მარტს დედის დღის აღნიშვნის ტრადიცია.

რაც შეეხება 8 მარტს, იგი საუკუნეზე მეტია, რაც აღინიშნება და მისი დაწესების სათავეებთან კლარა ცმტკინი და სხვა სოციალისტი ქალები იდგნენ.

ვიდრე მარტი წინ ვიდეკს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო, უთქვამთ ძველებს, ამის მიუხედავად წლებიანდელმა ზამთარმა ნამდვილად ისახელა თავი თბილი ამინდებით.

პაერი გათბა, ფრინველებიც აჭიჭიკუნენ და ებმაც მორცხვად გაგვიღიმეს, გაზაფხულის სურნელი ტრიალუბს პაერში.

გაიღვიბა ბუნებამ, მიწა აფუკდა, სხვა ხალისი აქეს სიცოცხლეს, მოდის მისი უდიდებულესობა გაზაფხული და მოდის გაზაფხულის პირველი დღესასწაული.

უდიდესი სიყვარულითა და პატივით ვულოცავთ დედის დღეს, ქალთა საერთაშორისო დღეს ქალბატონებს, ღირსეულ დედებს და მომავალ დედებს. ვულოცავთ მათ, ცხოვრების მკაცრი კანონების გამო, იძულებულიები რომ განდენ ოჯახების გადარჩენად მსოფლიოში გახიზნულიყვნენ.

გმირობის ტოლფასია თითოეულის თავგანწირვა ოჯახისათვის, შვილებისათვის.

ურბულო ზეცა, დაგნათოდეთ, დედური თბილი ღიმილით სახეგაბრწყინებულები ბრძანდებოდეთ ქართველ დედებო!

ლეკან გაბმჩაპა
“ალზევანს წავალ მარილზე/ მარლის მოვიტან შინაო/ ჯერ დედას გადავუხევი/ მერე ცოლსა და შვილსაო.” ცნობილია ხალხურ ზეპირსიტყვიერება

ბაში მეხრის მიერ გულიანად ნამღერი სიტყვები, მრავალმნიშვნელოვნად რომ აღიქმება.

დედაა საწყისი სიცოცხლისა, მშენიერებისა, სათავე კეთილშობილები-

“დედობის ბედნიერებას ვერაფერი გაუტოლდება”

ნათია ნათია

ქალია დედა, მიწა ქალი, საღამო – ქალი, წვიმა ქალიაო, ბრძანა მუხრანმა. ქალი – ხანდახან მარტთან ასოცირებული გამო, არამედ, გაიგივებული გაზაფხულის საწყისთან, თოვლში ამოხეთქილ ღორჯ იასთან, პირველ ყელმოღერილ ყოჩივარდასთან. ყველაფერთან, რასაც პირველსაწყისი ჰქვია.



გვეხმარება და ასევე, მესამე და შემდგომ შვილები ორი წლის განმავლობაში ყოველთვიურად მივიღებთ 150 ლარს ბავშვზე. – გვითხრა ნათიამ. უფროსი, ლიზო უკვე სასკოლოდ ემზადება.

როგორ ანაწილებს ენერჯიას დედა ოჯახის დასახლისი, როგორ უთავსებს საზოგადოებრივ საქმეებს შვილების აღზრდის ურთულეს მისიას? – ამ კითხვებზე ჩვენი რესპონდენტი გვასუხობს: “ჯერ ძალიან პატარები არიან საიმისოდ, რომ სამოქალაქო ღირებულებები ჩამოუყალიბო. ამ ასაკში მთავარია, პირადი მაგალითი მისცე მათ, როგ-

არ ეძებოს, ამისათვის უნდა გენდობდე, ყოველთვის კომფორტული იქნება ასეთი ურთიერთობები. აღზრდა, გენეტეკა, გარემო – ეს სამი რგოლი მთავარია ბავშვის სამყაროს ფორმირებაში.”

საოჯახო საქმეებში ჩაფლულს რედა თუ არა თავისუფალი დრო? საყვარელი წიგნების წასაკითხად რჩება. ძალიან უყვარს ნოდარ დუმბაძე, ფიქრობს, რომ ამ მწერალს ყველა კითხვებზე აქვს პასუხი, არაერთხელ გადავიკითხე, რადგან ერთგვარ თერაპიად მიიჩნევს. ამბობს, რომ ნაკლებად რომანტიკულია და პოეზიას ნაკლებად სწავლობს. ბავშვებთან ერთად ხშირად უსმენს კლასიკურ მუსიკას... ბავშვებს მამა და დედა ერთად ასეირნებენ. “ყველა ქალს უნდა ჰქონდეს დედობის ბედნიერება, ამაზე დე-

და ბედნიერება არ არსებობს. ჩემს სამსახურში ხშირად მიწევს ურთიერთობა სოციალური დახმარების მსურველ მრავალშვილიან დედებთან, ვიცნობ მათ შვილებსაც, რომლებიც უკვე დაიზარდნენ, ისინი ყოველთვის ამბობენ, რომ ძალიან ბედნიერები და ერთმანეთით მდიდრები არიან. ვუსურვებ ყველა დედას, შვილებს დაეფასებინოთ მათი ამაგი, დედის გაწეული ღვაწლი, მათთვის გათუული დამეგობი და დედობრივი თავგანწირვის უდიდესი გრძობა. ყველა დედას მინდა მიეულოცო დედის დღე, განსაკუთრებულად მინდა მიულოცო დედებს, რომელთაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილები და ასევე მარტოხელა დედებს.” – გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, მერე წამყვანი სპეციალისტია, ამჯერად კი, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. საზოგადოებრივად აქტიურმა გოგონამ ოჯახი 2010 წელს შექმნა. მეუღლე, პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, გოჩა აბზიანიძე. ერთმანეთი საერთო ნაცნობთა წრეში გაიცნეს, მაღლევი დაქორწინდნენ, მათ ოთხი შესან-იშნავე შვილი ჰყავთ. ამბობს, რომ ძალიან სურდა მესამე შვილის გაჩენა, რომელსაც უწმინდესი მოუნათლავდა, ლიზასა და გივიოს შემდეგ კიდევ ორი – ტყუბი ლუკა და გიორგი მოეულონენ ქვეყანას, ისინი ერთად მონათლა უწმინდესმა. – ადგილობრივი ხელისუფლებაც

ორ იცხოვრონ სწორად, აღამაინების სიყვარული უნდა ვასწავლოთ, მათი ნდობა რომ მოვიპოვო, არ ქონდეთ ურთიერთობის პრობლემა, ვცდილობ, ველაპარაკო, მაქსიმალურად რომ გაიხსნან ჩემთან, უნდა იმსახურებდე ბავშვის პატივისცემას, არ უნდა მოატყუო. მეამაყება ისიც, ჩემი მეუღლე იდეალური მაგალითია ბიჭებისათვის, თუ როგორები უნდა იყვნენ ისინი. ბავშვები რომ გაიზრდებიან, მერე სხვა ღირებულებები გადმოიწვევს წინა პლანზე, საოცარი თაობა მოდის, ყველაფერზე ჩამოყალიბებული აზრი აქვთ, თან უნდა აკონტროლო, თან ემეგობრო, რომ პასუხგაუცემელი არ დარჩეთ შეკითხვები. პასუხები სხვაგან რომ



პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 3 მარტი დედის დღედ დააწესა. ზვიად გამსახურდი ერთგან გურამ რჩეულიშვილს წერს: “მე არ დაგიხვდით, ჩემი სათავეებზე დედა დაგიხვდა”. სათავეებზე დედებს მარტო 3 მარტს რომ არ უნდა მოვეფეროთ, ძველი ჭკუძმარტებაა. ვინ წარმედგინა საზოგადოებისათვის სამ მარტს, დედის დღეს? ამაზე დიდხანს არ მიფიქრია, მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ახალგაზრდა, 4 შვილის დედა, ნათია კანტალიანი მუშაობს. ის დედობის მძიმე ტვირთს მსუბუქად ეხილება, სანიმუშოდ უხამებს საზოგადოებრივ საქმეს ოჯახურს და ოთხ შვილს, ოთხ “პატარა სახელმწიფოსაც” უდგენს წესებსა და კანონებს, ღირსეულ გოგონაბიჭებად რომ აღზარდოს.

დამთავრა კულამის მუხრანლის სახელობის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე (სპეციალობა პოლიტოლოგია), არის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი. მაგისტრატურაზე სწავლის პარალელურად, დამთავრა იმავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი სამართალმცოდნის სპეციალობით. მუშაობდა პედაგოგად კულამის ზოგვეტერინარულ კოლეჯში, 3-4 წლის განმავლობაში ასწავლიდა კონსტიტუციურ სამართალს, საბაჟო და სამეწარმეო სამართალს, პოლიტოლოგიას და ისტორიას. როგორც თავად გვითხრა, შეთავაზებას, დარჩენილიყო კათედრაზე, უარი უთხრა და მშობლიურ სამტრედიას დაუბრუნდა. 2006 წელს მუნიციპალიტეტის გამგეობაში იწვევს მუშაობას უმცროს სპეციალისტად

საინფორმაციო ცენტრი ახალგაზრდი უსაქმლოების განვითარებისთვის

6064 ნაგებობაში

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის ინიცირებით დაიგეგმა ორდღიანი ინგლისურენოვანი ტრენინგი თემებზე: “ბავშვთა უფლებები”, “მოსახლისეობა”, “გაცვლითი პროგრამები”. ტრენინგს უძღვევდა პროგრამა FLEX-ის კურსდამთავრებული, ილიას უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი თაკო გიორგაძე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ტრენინგზე მიიღეს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, ისაუბრეს საზოგადოებისთვის მოხალისეობის მნიშვნელობაზე, ორივე დღეს გაიარეს ტესტირება, რომელიც ხელს შეუწყობს, მოსწავლეებმა FLEX-ის კონკურსში მიიღწიონ წარმატებებს.

ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს სპეციალური სერტიფიკატები გადაეცათ. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საინფორმაციო ცენტრში აბიტურიენტებთან შეხვედრა დაიგეგმა. 21 თებერვალს სამტრედიელ უფროსი კლასების მოსწავლეებს აუდიენცია ჰქონდათ სტუდენტებთან, მათ შორის ილიას უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტთან, თაკო გიორგაძესთან, კაკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სტუდენტთან, ნანუკა ინასარიძესთან და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთან, ფსიქოლოგ რუსუა შანიძესთან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამივე მა-

თავი უფასო გაცვლითი პროგრამის მონაწილეები არიან. ისინი ახალგაზრდებს ესაუბრნენ როგორც თავიანთი პროფესიებისა და უნივერსიტეტების შესახებ, ასევე იმ შესაძლებლობებზე, რაც რეალურად საქართველოში არსებობს.

საინფორმაციო ცენტრში სამომავლოდ კვლავ იგეგმება შეხვედრა აბიტურიენტებთან და მოსწავლეებთან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის დირექტორი, სოფიო კირთაძე მოხარულია, რომ საქართველოში არიან ახალგაზრდები, რომლებსაც 180 გრადუსით შეუძლიათ, შეცვალონ არსებული სიტუაცია: “მასწარებს

ის, რომ დღეს საინფორმაციო ცენტრში ერთდროულად მოხდა სამი წარმატებული ახალგაზრდის შეხვედრა, რომლებიც მხოლოდ თავიანთი შრომის, ნიჭის და უნარის გამოყენებით აღწევნენ წარმატებებს და საკუთარ ისტორიებს უზიარებენ მომავალ თაობას. სწორედ ეს არის, იყო აქტიური მოქალაქე და იზრუნო შენი თემის განვითარებისთვის. მაგლობა მინდა, თქვენი გაზრდის მეშვეობით გადავუხადო თაკო გიორგაძეს, ნანუკა ინასარიძეს და რუსუა შანიძეს, რომ ისინი მოხალისეობის მაგალითს იძლევიან და კულტურას აყალიბებენ მოსწავლეებში”.



„ჩველთაზე ნიჭიერის“ გამარჯვებული მესამე საჯარო სკოლა

60605 ნაგებობაში

ინტელექტუალური კონკურსი “ჩველთაზე ნიჭიერი” მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტის ორგანიზებით გაიმართა. წინა წლებში სკოლები განსაკუთრებულად აქტიურობდნენ, წლეულს მასში მონაწილეობა მიიღეს: მესამე (დირექტორი ვენერა ივანიშვილი) მეოთხე (დირექტორი ნუგზარ კუცია), მეათე (დირექტორი მაყვალა თევზაძე) საჯარო სკოლების, სკოლა “ცოდნის” (დირექტორი მარინა ნადირაძე) გუნდებმა და დამოუკიდებელმა გუნდმა “მოსწავლეთა პარლამენტი”. საკონკურსო კითხვების პაკეტის ავტორი მეოთხე საჯარო სკოლის მოსწავლე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტის თავმჯდომარე, თამუნა ჯინჭველეიშვილია, ის თავად გაუძღვა ინტელექტუალურ შეჯიბრს. შეჯიბრი რამდენიმე ტურად ჩატარდა. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: საგანმანათლებლო რესურსცენტრის წამყვანი სპეციალისტი, ალექსანდრე თევზაძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ზოგადი უნარების წრის პედაგოგი და ინტელექტუალური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, ლია ზაქარიაძე, ამავე სახლის შურნალისტივის წრის ხელმძღვანელი, ნინო ნანიტაშვილი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი, ამავე სახლის აღზრდილი, ვახტანგ ნიკოლეიშვილი. თითოეულ ტურში შვიდი შეკითხვა დაისვა, ყოველი მეშვიდე შეკითხვა “ვეფხისტყაოსნიდან” იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდები საკმაოდ მობილიზებულნი და მომზადებულნი იყვნენ. პირველ ტურში ერთადერთი შეკითხვა ჩა-



არდა, ბავშვებს გაუჭირდათ გამოეცნოთ ციტატა ილიას “მზავრის წერილებიდან”, თუმცა მათ სხვა ტურებში ქართველი მწერლების საუკეთესო ცოდნა გამოავლინეს. ისინი კარგად იცნობენ როგორც თანამედროვეობის ცნობილ უცხოელ მწერლებს და ბესტსელერებს, ისე კლასიკოს ავტორებს და მათ ნაწარმოებებს.

ფინალში გამოვლინდა გამარჯვებული მეათე საჯარო სკოლის გუნდი (გიორგი რურუა, ხატია სიხარულიძე, სესილი გოგიბერიძე.) გუნდს გამარჯვებულის თასი გადაეცა, ხოლო ყველა მონაწილეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა, ტატა გოგუაძემ სივრცეები გადასცა. შეკრების მონაწილეთა განსაკუთრებული მაღლობა გადაუხადა ახალგაზრდული პარლამენტის კურატორმა, პედაგოგმა ელიო

ანკვაბმა. ჟიურიმ განსაკუთრებული აქტიურობისათვის ასევე დააჯილდოვა გიორგი რურუა (მეათე საჯარო სკოლა) და დარეჯან ბოცვაძე (მეოთხე საჯარო სკოლა). ალექსანდრე თევზაძემ მაღლობა გადაუხადა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელებისათვის და აღნიშნა, რომ ჩვენისთანა მცირერიცხოვან ქვეყანას ყველაზე მეტად მოაზროვნე თაობა სჭირდება. “სამტრედიის მაცნე” შურნალისტმა ნინო ნანიტაშვილმა ასევე მოიწონა კონკურსის მონაწილეობა ცოდნის დონე, გონე ბამახვილობა, შემართება და წარმატებები უსურვა მათ. ასევე მიესალმა მოსწავლეებს ლია ზაქარიაძე და არაერთი საინტერესო კონკურსში გამარჯვება უსურვა.



“ყველა გზა საბატონოაზა ბაღის”

აყაი შანიძე

თითქმის ბავშვობიდან ვიცნობდი. მეოთხე კლასიდან გავითავისე აყაი შანიძის სახელი და გვარი, როცა ქართული ენის ვრამატაციის შესწავლა დაეწყო. მახსოვს, როგორ პატივისცემას გამოსატყვევებენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მის მიმართ და მკაცრად მოითხოვდნენ ვრამატაციული ნორმების დაცვას. ვაფიქსირებ, დაუფიქსირებ ჩემთვის 100 წლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებული მოვონებები, ცნობიერებაში ვაცოცხლებული სახეები, ეპიზოდები, უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ასპირანტთან ერთად ხელყავით დინჯად მომავალი ბატონი აყაი შანიძე, მის დანახვაზე სტუდენტები მყისიერად რომ აყეთებდნენ ცოცხალ დერეფანს და პატივისცემის ნიშნად თავს უხრიდნენ. ორმაგად ბედნიერი ვიყავი – დიდი მეცნიერი ჩემი თანამემამულე იყო.

მიმდინარე წლის 26 თებერვალს ბატონ აყაი შანიძეს 131 წელი შეუსრულდებოდა. რა საინტერესო! ახალგაზრდა მეცნიერი, 31 წლის ასაკში. სწორედ 100 წლის წინ, დიდ ივანე ჯავახიშვილი-თან და ცნობილ კორიფეებთან ერთად იდგა ქართული ხალხის განათლების ერთგული ტაძრის – სახელმწიფო უნივერსიტეტის საბირველი მშენებლობის სათავეებთან. ფასდაუდებელია მისი წვლილი, ბატონი აყაი შანიძე ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელია, მასწავლებელია მასწავლებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი.

ჩვენი გაზიარებული მინდა შევთავაზო მოკრძალებული მოვონებები ჩვენი საამაყო თანამემამულის, აყაი შანიძის, შესახებ. აქ არ იქნება საუბარი მის მეცნიერულ მიღწევებზე ან რეგალიებზე. მე მხოლოდ მშობლიურ კუთხესთან მისი ურთიერთობისა და სხვა შთამბეჭდავი დღეების შესახებ მოვიხსნობ, რაც მესსიერებას დღემდე შემორჩა.



შეიძლება ითქვას, ბატონ აყაი შანიძის თავის მშობლიურ კუთხესთან კავშირი არ გაუწყვეტია, აქ ეგულებოდა ძმა, ძმისშვილები, ახლო ნათესავები, მეზობლები და ბავშვობის დაუვიწყარი მოგონებები. რაიონულ გაზეთ “წინვლაში” პერიოდულად ქვეყნდებოდა მისი კვლევები. როგორც ამბობენ, ის იყო სოფლის ახალგაზრდების გზამკვლევი და კეთილი მრჩეველი. ბატონი აყაის აქტიური დახმარებით მიღწეულ იქნა ნოდის 8 წლიანი სკოლის გადართობა საშუალო სკოლად. აი-გო ახალი თანამედროვე სკოლის შენობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ათეული წლების განმავლობაში შეფობდა სკოლას. მათი დახმარებით სასკოლო ბიბლიოთეკა შეივსო მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურით, კაბინეტ-ლაბორატორიები და სპორტული დარბაზი – ახალი ინვენტარი.

1968 წელს ბატონი აყაი შანიძე ესტუმრა მშობლიურ სოფელ ნოდს და სამტრედიას, მოინახულა მისთვის საინტერესო ადგილები. პარტიის რაიონის პირველმა მდივანმა, ბატონმა ნოდარ კობრიძემ საპატიო სტუმარი, ერთ უქმე დღეს, ბიუროს წევრებთან ერთად სოფელ იანეთში, ახალგაზრდა რესტორან “ციცარში” მიიწვია. რესტორნის დირექტორი გახლდათ მაღალი შინაგანი კულტურით აღსავსე პიროვნება შოთა ახობაძე. ბატონი აყაი აღფრთოვანებული დარჩა იმერული სამზარეულოთი, შეუქო ხელმძღვანელ მზარეულები და მისცა სასარგებლო რჩევები – კარგად შეესწავლა საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვით ტრადიციული ეროვნული კერძები. როგორც ვხედავთ, ყველაფრის ამოსავალი მისთვის ეროვნულობა და ეროვნული ხასიათი იყო. იქვე მოითხოვა შთაბეჭდილების წიგნი და თავისი ჩანაწერი გააკეთა. ეს, უდავოდ, დიდი პატივი იყო. ბატონი აყაის სტუმრობა, მისი მომხიბლავი უბრალოება და თავმდაბლობა, ადამიანური სითბო დღემდე მომეგება და მეამაყება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავთან დაკავშირებით 1968 წლის ივნისში აყაი შანიძის ინიციატივით სამტრედიამ გაიმართა სამეცნიერო საიუბილეო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ თავად ბატონი აყაი შანიძე, აკადემიკოსი, ქართული მეცნიერების ტაძრის ქურუმი, უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი სერგო ჯორბენაძე, აკადემიკოსები: ბენედიქტე ბალავაძე, შოთა ძიძიგური, ბორის ხვედელიძე, ნიკოლოზ ვეკუა, პროფესორები:

მიხეილ ნოდია, მერი იანქოშვილი, აბელ კიკვიძე, ტრიფონ რუხაძე, გივი ჭანუყვაძე, დოცენტები: ნათელა კემელაძე, ზურაბ შენგელაია, მიხეილ კეკელია და სხვა.

იმავე დღეს მესამე საშუალო სკოლის ეზოში გაიხსნა ჩვენი თანამემამულე

ქვეყანაში დავროვილი ეროვნული სიყვარული უხვად იფრქვეოდა ირგვლივ. მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და იუბილარს დაუსრულებლად უკრავდა ტაშს... აღსანიშნავია ისიც, რომ პრეზიდიუმში მყოფი უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა, რომელიც მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად საღამოს ესწრებოდა, დარბაზი მქუხარე ტაშით და ოვაციებით შეხვდა.

ამ ზეიმის გაგრძელება გახლდათ მეორე დღეს, 24 მაისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექტო დარბაზში აკადემიკოს აყაი შანიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია. იყო სტუმარ-მასპინძელთა გულთბილი მისაღებები. სესიის ხელმძღვანელმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა დავით ჩხეიძემ დაიწყო სესიის წინასწარ თხოვა სიტყვით გამომსვლელი გაეთავისუფლებინათ, რომ მსცოვანი მეცნიერი გადადღობილი იყო. მეც, როგორც სამტრედიის დელეგაციის ხელმძღვანელი, სიტყვით უნდა გამოსულიყავი.

ბუნებრივია, ველავდი. ჩემამდე გამოვიდა ჩოხატაურის რაიონის ორი წარმომადგენელი. მათ წაიფითხეს ადრესის ტექსტი და ხაზი გაუსვეს იმას, რომ აყაი შანიძე ეკუთვნოდა გურიას, ჩოხატაურის რაიონს. რა თქმა უნდა, ამას აქვს რეალური საფუძველი – ბატონი აყაი ყველაგან სიყვარულით აღნიშნავს გურიის, კეთილ გავლენას. ჩემი გამოსვლის ჯერაც დადგა ტრიბუნაზე ავედი, სამტრედიის დელეგაციის სახელით იუბილარს ადრესი გადავეცი. გულწრფელად მივულოცე ნაყოფიერი 90 წლის იუბილე და განვაცხადე: ამაყი ვარ, აყაი შანიძე სრულად საქართველოსა და მშობლიური კუთხის სახელით მოვიწვიე სტუმრებთან ერთად დიდ სახალხო ზეიმზე.

აქვე მინდა აღვნიშნო, როცა თბილისში ჩავედი, ბატონმა აყაიმ ჩვენი და ჩოხატაურის რაიონის დელეგაციები თავის ბინაზე მიგვიწვია. გულდასაუბარი შედგა. გაზეთ “წინვლის” რედაქტორმა, ბატონმა ვაჟა ნიკოლეიშვილმა, მოულოდნელად ხუმრობანარევი

კილოთი მასპინძელს ჰკითხა: ბატონო აყაი, ჩოხატაურელები თქვენ თავს რომ გვედავებენ, იქნებ გვითხრათ, რომელი რაიონის ეკუთვნით? ბატონმა აყაიმ არ დაახანა და ღიმილით უპასუხა: “ყველაგზა სამტრედიანზე გადის”. შემდეგ უნივერსიტეტის სასადილო დარბაზში სახელდახლოდ გაწყობილ სუფრასთან გულანად გვიმასპინძლა. თავს გვევლებოდნენ მისი ქალიშვილები, ქალბატონები მხეკლა და ლელა შანიძეები.

1977 წლის 4 ივნისი. ღირსეული თანამემამულის, აყაი შანიძის, დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი სამტრედიამ იუბილარისადმი საყოველთაო სიყვარულის აღიარების დღედ იქცა.

ბატონი აყაი წინა დღეს ჩამობრძანდა. ვაგზალზე უამრავი ხალხი შეხვდა, რაიონის ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, დადგა თუ არა ფეხი მშობლიურ მიწაზე, მსცოვანი მეცნიერი ახალგაზრდების გარემოცვაში აღმოჩნდა. მათ ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს თავიანთი კუთხის



სახელოვან შვილს. ხალხის დიდი ტალღა მიაცილებდა სასტუმროსაკენ ფეხით მიმავალ იუბილარს და მის თანხლებ პირთ. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი განცდაა, იყო ყოველივე ამის მხახველი და ამასთან დაკავშირებული მოვლენებ-

ის მონაწილე. 4 ივნისი. მზემ გამოანათა. ზეიმის დაწყება 12 საათისთვის იყო დაგეგმილი, ყველაფერი გაეთვალა. იუბილარი მზის სხივებსაც არ უნდა შეეწყუხებინა. კულტურისა და დასვენების პარკში უჩვეულო ხალხმრავლობა იგრძნობოდა. აყაი შანიძისადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენას დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ, საზეიმოდ განწყობა ეტყობოდა ყველას და ყველაფერს. პარკის შესასვლელთან ეტლი გაჩერდა. სახელდახლოდ გამართულ ტრიბუნასთან საქართველოს კინოს, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები იდგნენ, რათა ფიზიკურად ებეჭდათ ყოველი მომენტის, ჩაეწერათ იუბილარისადმი მიძღვნილი ყოველი სიტყვა. მოცეკვავე გოგო-ბიჭები ერთმანეთის ტოლს არ უდებდნენ.

დადგა ბედნიერი წუთი. დიდ ერისყავს ტრიბუნისაკენ საყოველთაო ოვაციის მიაცილებდა, რეპროდუქტორიდან ისმოდა “მრავალკამიერი”, როგორც პიში ქართველი ერის, მისი ენისა და მამულის მოჭირნახულის უკვდავებისა. ცოცხალი დერეფანი გაკეთდა. სასიქალო ერისყავს ნორჩები ყვავილებს ფიანდახად უფენდნენ. იუბილართან ერთად იყვნენ რაიონის ხელმძღვანელები, საზოგადოების წარმომადგენლები, შვილები, ქალბატონები მხეკლა და ლელა შანიძეები, შვილიშვილები, შვილიშვილები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი სერგო ჯორბენაძე, აკადემიკოსი შოთა ძიძიგური, თბილისისა და საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები.

საიუბილეო ზეიმი უნდა გაეხსნა პარტიის სამტრედიის რაიონის პირველ მდივანს შალვა ცაგარეიშვილს. მან ტრიბუნაზე ასვლის დროს, ჩემდა გასაოცრად, მითხრა, რომ ეს მისია მე უნდა შემესრულებინა. ეს ჩემთვის დიდი მაგრამ მოულოდნელი პატივი იყო. ძაღვები მოვებობე და იმ წუთებში დავროვილი სითბო და სიყვარული ბატონ აყაის გავესწავილე. იუბილარს მივსალმნე საზოგადოება “ცოდნის” რაიონული ორგანიზაციის მდივანი ნიკოლოზ კოპალეიშვილი, დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სე-

ოლის დირექტორი ოთარ შანიძე, მშობლიური სოფლის მშრომელთა სახელით იური შანიძე, მოსწავლეები გალია თეფაძე და ციციო კვატაშიძე. ბატონ აკაყის ასევე გულბობილად მიესალმა ჭაგანის 8 წლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რაისა არველაძე. თავისი ემოციური გამოსვლა მან დაამთავრა სიტყვებით: “ვაშა იმ ხალხს, რომელიც თქვენებრ სასიყვარულო მეცნიერს აღზრდის”.

ბატონმა აკაყმა მადლიერება გამოხატა რაიონის ხელმძღვანელობის მიმართ იუბილის ასე ფართოდ აღნიშვნისათვის, ბედნიერება და დღეგრძელობა უსურვა ყველა სამტრედიელს. მეცნიერის თავყანისმცემლები არ დამოდიან. იუბილართან შეხვედრა მართლაც სახალხო ზემიად იქცა.

3 საათზე მოხდებოდა კოლონა სოფელ ნოღისაყენ დაიდრა. ბატონი აკაყი ქალბატონ მხეჭელასთან და შვილთაშვილთან ერთად გურიისკენ მიმავალი გზით მშობლიური სოფლისაკენ მიემართებოდა, ინტერესით ათვალიერებდა ნაცნობ სოფლებს და გზის პირებს, რიონის ულამაზეს ხედს (ალბათ, ორი დიდი აკაყის ეტლით მოგზაურობა დიდხანს შემორჩება ადამიანთა მესხიერებას). მსვლელობა რამდენჯერმე შეჩერდა დაფხარში, საჯავახოსა და ჭოგანარში, სადაც სოფლის ახალგაზრდები ყვავილებით ეგებებოდნენ, და ბოლოს – ნოღა.

ნოღელებმა გულში ჩაიკრეს თავისი საამაყო შვილი და პირველად თავის მამაპაპისეულ სახლში მიიწვიეს (აღდგენილ იქნა საიუბილეოდ). კერაზე ცეცხლი გიხვებოდა, იხარებოდა დედლები, იქვე იდგა ღვინით სავსე ღოჭი. ბატონი

ჩემი მესხიერებიდან არ ამიძღვლებამაღლელებელი ეპიზოდი, თუ როგორ ესაუბრებოდა გარდაცვლილ მშობლებს, მაღლობას უხდოდა. შემდრა (არა მარტო მე), როცა გავიფიქრე: “შემეძობო, ალბათ მეტად ვერ მოვალ!..

ახლა, ამ გადასახედიდან, როცა ვიცი ხანდაზმულობის სიძიმე, გულწრფელად მივივრის, როგორ შეძლო 90 წლის აკაყი შანიძემ სულიერი და ფიზიკური მხნეობის შენარჩუნება, ერთი წამითაც არ გამოუხატავს დაღლილობა.

სალამოს, გვიან, სტუმრებთან ერთად სამტრედიამი დავბრუნდით. მასპინძლებს ძალიან გვახარებდა ის, რომ სტუმრები ალტაცებულნი იყვნენ ამ საზეიმო შეხვედრებით და მასპინძლობით.

ნოღის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის, ქალბატონ ვერა კულადაძის და ამ სკოლის ენთუზიასტ პედაგოგთა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ სიცოცხლის ბოლომდე ურთიერთობა ბატონ აკაყი შანიძესთან არ შეწყვეტილა, ყოველწლიურად, ოჯახთან ერთად აღინიშნებოდა მისი დაბადების დღე – 26 თებერვალი. არაერთხელ ყოფილან ამ საზეიმო დღის სტუმრები ბატონები თამაზ იმედაძე, ლევან ჩხეიძე და ქალბატონი ჯულიეტა გოგავა.

ერთი საინტერესო შემთხვევის შესახებ მინდა ვიამბოთ, რაც გადმოცემით ვიცი და სამტრედიელთა გარეკვეული ნაწილისთვის უცხო არ არის.

ბატონი აკაყი 50-იან წლებში სამტრედიამი მატარებლით ჩამობრძანებულა. როგორც ჩანს, ავტობუსი აგვიანებდა, ის ჩქარობდა. იქვე შეუნიშნავს სატვირთო ავტომანქანის ავრატულად ჩაცმული მძღოლი, სამტრედიელებსთვის

ერთობ ცნობილი კოლორიტული პიროვნება, ლევან (ხიტია) ლორთქიფანიძე. მეცნიერს უკითხავს, ნოღაში თუ წამიყვანთო, მძღოლს თანხმობა განუცხადებია. ბატონი ხიტია ცნობილი იყო სიტყვამოსწრებულობით. როცა ბატონ აკაყის მიუპარათავს, სად დავჯდეთო, ხიტიას მისევე მიუგია, ჩემსავით რომ ვესწავლით, კაბინაში დაჯდებოდითო. ბატონი აკაყის მისი პასუხი ჩვეული თავმდაბლობით მიუღია და როცა საბარგულზე ასასვლელად მომზადებულა, მძღოლს შეუცნია დიდი მეცნიერი და

მის გვერდით მორიდებით შეუთავაზებია ადგილი. თურმე სიცილ-ხუმრობით გაუვლიათ გზა ნოღამდე. ამ შემთხვევის შესახებ თავად ხიტია პეყვებოდა და სიამაყით აცხადებდა: ამ მანქანაში აკაყი შანიძეც კი იჯდაო.

შთაბეჭდავია თბილისქალაქობის პირველ დღესასწაულთან დაკავშირებული მოგონებები. მამინ რაიონს ბატონი თამაზ იმედაძე თავაკცობდა, ეს იყო 1979 წლის 28 ოქტომბერი. რაყზე, თბილისის უბეკლეს უბანში, როგორც ყველას, ჩვენს რაიონსაც გამოყოფილი ჰქონდა კუთხე. დამთავლიერებელთა ყურადღებას იპყრობდა იმერული ეზო, რომელსაც გარს ერტყა დაწნული ღობე. ეზოში ჩადგმული იყო ფაცხა, პატარა სასიმინდე და სიმინდის ტაროებით დატვირთული ურემი. აქ ნახავდით რძის კომბინატის ნაწარმს: ყველს, სულუგუნს, ასევე კონსერვებს, ჩაის, ყურძენს, აქვე იყო წარმოდგენილი იმერული სამზარეულო, სადაც მოფუსფუსე ქალბატონები აცხობდნენ მჭადებს, ხაჭაპურებს და თავაზობდნენ სტუმრად მოსულთ. კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ანსამბლი (ხელმძღვანელი მურმან ბერულავა) ქართულ ხალხურ სიმღერებს აგუგუნებდა. სამტრედიამ სახელი გაითქვა გულუხვობით და ერთსაკცთა სატვირთობით – ბატონები აკაყი შანიძე, ეროსი მანჯგალაძე, ვახტანგ ბალაყაძე... ხალხი მოაწყდა სამტრედიის კუთხეს. სახელოვანმა მამულიშვილებმა იქვე გაშლილ იმერულ სუფრასთან გულმხურვაყად წარ-

მოთქვეს ქართველი ხალხის, დედაქალაქისა და სამტრედიელთა საღვებელო. სიყვარულით გაიხსენეს მამა-პაპური ადო-წესები. მართლაც ბედნიერი დღე იყო, დედა – ქალაქი ზეიმობდა. იმ დღეს, რაყზე დაიხატა ერთიანი საქართველოს წარუშლელი სურათი.

როცა გადაეხედათ ბატონი აკაყის შანიძის ცხოვრების გრძელ, შემოქმედებითი მოღვაწეობით დატვირთულ გზას, პირველ რიგში, უნდა ამოვიკითხოთ ის, რაც ნათლად და მკვეთრად ისახება. ბატონი აკაყი მაღალზნეობრივი კულტურით გამორჩეულია. მე, პირადად, დიდ ერთსაკც ექვთიმე თაყაიშვილთან (ექვთიმე ღვინისაკცთან) მისი ურთიერთობაც მეყოფოდა ამის სამაგალითოდ. მხელბელობის ჟამს, როცა ექვთიმე უდიდესი ეროვნული განმით საქართველოში დაბრუნდა და მასთან ურთიერთობა შესაბამისი სამსახურების მიერ შეწოდებული იყო, აკაყი შანიძე ერთ-ერთი გახლდათ, რომელიც მასთან ხშირად დადიოდა. ის იმ მცირერიცხოვან ადამიანთა რიგშია, რომელმაც ბოლომდე მიაცალა თავისი მეგობარი უკანასკნელ განსასვენებელ ადგილამდე. მას ეყო გამბედაობა, ექვთიმე თაყაიშვილის პირველი ექსპედიციის შესახებ ახალგამოცემული წიგნი მეგობრის გულზე დაეღო და იმიერში გაიტანებინა.

ბატონი აკაყი შანიძის შესახებ გავით “წინსვლაში” გამოქვეყნებული პროფესორ რაფიელ შამელაშვილის წერილში ვკითხულობთ: “აკაყი შანიძე ოქროს მაძიებელივით ესათუებოდა ყოველ სიტყვას, მეზღვესავით ძირ-ფეხს უსწავდა, რწყავდა და ახარებდა, კონსერვისა და სვანურის სინარარე და ანდამატური ძალა პირველად მან გავარძნობინა, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებში გაგვარკვია, ძველი ტექსტებიც გამოამზურა და ახალი სიცოცხლე დაუბრუნა...”

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო წელს ბატონ აკაყი შანიძეს, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელსა და ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელს, შესატყვისი ეპითეტებით მოიხსენიებენ არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

მის თანამემამულეებს უფლება გვაქვს, ვიამაყოთ დიდებული აკაყი შანიძით, მისი მეცნიერული მემკვიდრეობითა და პოეტური სულით.

1917 წელს შურნალ “პრომეთეში” გამოქვეყნდა აკაყი შანიძის “ქართული ეროვნული ჰიმნი”. ლექსი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითაა ნასაზრდოები.

...“სამიათას წელზე მეტი გვიცხოვრია

როგორც ერსა, მრავალ შავ დღეს მოვსწრებებართ, მაგრამ

ბევრსაც ბედნიერსა, უსიყვდილოდ არვის ვუთმობთ ჩვენს სამშობლოს ბედნიერსა, გვიმღერნია, კვლავაც ვიმღერო ჩვენს

ტკილ “მრავალჟამიერსა”.

სიმბოლურია, რომ ეს ლექსი სიმღერად აახმიანა სამტრედიის ეთნოგრაფიულ ანსამბლ “სანავარდოს” ხელმძღვანელმა, ცნობილმა ლოტბარმა, ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელმა ბენიამინ მიქაძემ. სიმღერა შესულია საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ოქროს ფონდში და დიდი პოპულარობით სარგებლობს. ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ სიმღერის ტექსტის ავტორი ბატონი აკაყი შანიძეა, რომელიც ყოველდღიურად გვამხნეებს ამ ლექსის სტრიქონებით: “გვიმღერინ, კვლავაც ვიმღერო, ჩვენს ტკილ მრავალჟამიერსა”.

ბატონმა აკაყი შანიძემ 100 წელი იცხოვრა თავისი პროფესიული საქმის, ოჯახის, მშობლიური კუთხის და ქართველი ხალხის სიყვარულის წიაღში და უკვდავება მოიპოვა. მან დატოვა ღირსეული შთამომავლობა, უფროსი ქალიშვილი, აკადემიკოსი მხეჭელა შანიძე, მთელი მისი ცხოვრება ელოლიაყვება ქართულ სიტყვას და ამით პატივს მიაგებს ქართველი ერის სიწმინდეს და ღირსეული მამის, ჭეშმარიტი ქართველის, აკაყი შანიძის დაწვებულ საქმეს.

ნათნუ ბალაყაძე



“ახლას რომ დასჭირდეს ძველს, უმალ საბრძოლველად წავალ!”

ნათია ნაცვლიძე

ომისა და სამხედრო ძალების გეტრანის შურაბ ჯინჭველიშვილი წმ წლისაა. იგი ეროვნული მოძრაობის “უახლესი უფლისციხეა”, უამბიციო კაცი, სამშობლოსა და კანონიერ ხელისუფლებას ბოლომდე რომ უერთგულა, გულზე მჯიღის არ იცემს, აქაოდა, მე ვარ და ჩემი ნაბაძიო.

– უკვალატო კაცი, ასე დაახასიათა ჩვენი რესპონდენტი საკრებულოს განმარტებისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ვოგი ლეჟავაძე, როცა ჩვენ ინტერვიუს ჩაწერას შეესწრო. პატონი შურაბი სხვა თანამებრძოლთა მსგავსად, სამტრედიის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის მშენებლობაში ხელმძღვანელობდა ჩართო და გუმბათის დასაფარავი მთელი მონაწილეობა. ტაძარი რომ შეაკეთებდნენ ტანჯვადამოვლილ ბიჭებს, მერე სკვადილის მეტი მათ ვერაფერს დაშლისო, გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი. წლეულის მას გულის ურთულესი ოპერაცია გაუკეთდა, 4 სარქველი გამოუცვალეს, კლინიკაში კვირები ხუმრობდნენ თურმე, შენ ყველაზე დიდი მხარდამჭერი ზეცაში გყავსო...

ძრაობის ავანგარდში თქვენი დაღვთება?

– მის გვერდით ვიყავი ბოლომდე. ის წესიერი ახალგაზრდა იყო და არის ქვეყანაზე ნამეტნავად შეყვარებული. დედაქალაქში, მთავრობის სასახლის შენობასთან სხვა სამტრედიელ ბიჭებთან ერთად ვიყავი, წამით არ დაგვიტოვებია პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 1991 წლის 22 დეკემბერს დავიჭერი. “ილია მართლის საზოგადოების” წევრი ვიყავი, პირველი ან მეორე ტყვია მომხვდა დილის 8 საათზე. იმ პერიოდში ვეველანი მოხალისეები ვიყავით, მთელი ეროვნული ძალები სამტრედიისა იქ იყო, ძალიან ძლიერი ბირთვი გვყავდა, იმიტომ, რომ ზვიადი იყო ძლიერი, მაგრამ რამდენად ძლიერი იყო “მრგვალი მაგიდა”, იმდენად ძლიერი იყო სამტრედიის “მხედრონი”. ძლიერ “მრგვალ მაგიდას” სწორედ ძლიერი “მხედრონი” დაგვიპირისპირეს. სხვათა შორის, შემთხვევითი ტყვია არ

მივირისათვის, მე ზვიადის გვერდით ვიდექი, ტაბელური იარაღი მეჭირა ხელში, პრეზიდენტის კაბინეტის წინ ვტრიალებდით. სპეციალური საშვით მასთან შესვლის უფლებაც მქონდა.

– როგორი დარჩა ზვიად გამსახურდია თქვენს ცნობიერებაში, გახსოვთ იმ მძიმე დღეებში გამსახურდიას განწყობა? შეშინებულნი გამსახურდია?

– არა, არა, შეშინებული არასოდეს ყოფილა, გამსახურდია იყო ნამდვილი გამსახურდია, ის განუმეორებელი იყო! ჩვენ მისნაირი პრეზიდენტი არასოდეს გვეყოლება, ის თხემით ტერფამდე ქართველია, მისი ბედია, შეწირვოდა სამშობლოს.

– როგორც თემურ ქორიძემ ბრძანა, ზვიად გამსახურდიასთან ადამიანები თბილ საწოლში არ კვდებიან...

– ამ კაცის გვერდით ვინც ვიყავით, ყველანი ნებაყოფლობით, შეგვაკავშირა სამშობლოსთვის თავდა-

ები იყო. ზვიად გამსახურდია მოგვიწოდებდა, არც ერთი გოჯი მიწა არ დაგვეთმო, ამიტომაც ჩაერთვნენ ჩვენი ბიჭები ამ საბრძოლო ოპერაციაში.

– თქვენს ოჯახს ავიწროებდნენ?

– 1992 წელს რომ დადამდებოდა, არ ვფიქრობდით, მშვიდობიანი იქნებოდა თუ გაგვიტეხებოდა. ჩვენი ცოლ-შვილი ახლობელ-მეზობლებთან ათევენენ დამეს. ავტოსადგომთან, ყოფილი დიმიტროვის, დღევანდელ მელქაძის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ჩვენი ბიჭები ბევრი საერთოდ გაიქცა სამტრედიიდან, ჩემი ცოლ-შვილი დამეს მეზობლის სახლში ათევადა, 12-13 წლისანი იყვნენ ჩემი შვილები. დაჭრილი სახლში უგონოდ რომ ვიყავი, ერთხელ შემომიკვიდნენ, პარალიზებული ვიყავი, თქვეს ეს ისედაც მოკვდებიო და თავი დამანებეს. რუსთავის, კახეთისა და ტყიბულის “მხედრონი” იყო სამტრედიამი შემოსული. სამტრედიის “მხედრონი” იყო მათი გზის მჩვენებელი. ისინი უშუალოდ არასოდეს აწიოებდნენ თანაქალაქელებს...

ყველაზე მეტი სამინილება ის კი არ იყო ჩემს ცხოვრებაში, რომ დამჭრეს, არამედ ის, რომ კულტურის სახლიდან გამოასვენეს კაცი, რომელსაც სამტრედიისთვის ცუდის მეტი არაფერი გაუკეთებია. დღევანდელი დღე მაგათ მოიტანეს. გამსახურდიას ძალით ჩამოგდება რომ არა, ქვეყანა წინ წავიდოდა. 4 წელიწადში რას გააფუჭებდა ისეთს გამსახურდია, რაც მათ მოუტანეს ამ დამხობით და ქვეყნის აწიოებთ? კიდევ



მომხვედრია, მიზანმიმართულად მესროლეს, ყველამ იცოდა, ზვიადის გვერდით ვიდექი, ფიზიკურად ძლიერი ვიყავი, 20 მეტრში მესროლეს, შემობრუნებისთანავე დავინახე, ვინ მესროლა, თუმცა სახელი არ ვიცო...

– “მხედრონის” ბანაკიდან იყო?

– უფრო გაა ფარფარაშვილის ბანაკიდან მგონია. გონზე ცოტა ხანს ვიყავი. ვიცოდი, რომ კიტოვანი ცხინვალში იყო, გვარდია პირველივე დღეებში მოხსნეს და იქ გადმოიყვანეს, იმიტომ, რომ “მხედრონელები” დაპატიმრებულნი იყვნენ და მთელი ბატალიონი ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენეს. პირველივე დღეებიდან “მხედრონის” იმდენი წვლილი არ აქვს ჩვენს წინააღმდეგ განხორციელებულ სროლებში, რამდენიც კიტოვანის და ფარფარაშვილის ძალებს. ახალ წლამდე გამოუშვეს მხედრონელები ციხიდან.

– როგორი იყო მთავრობის სასახლესთან თქვენი ვოფნის რეჟიმი?

– შენითაც შევდიოდით და გართავ ვიყავი. დღე არ გავიძოდა, გამსახურდიას არ დაეძახა ზვიად ძი-

ლების გრძობამ, ჩვენთვის ერთგულების ნიშნად იყო ზვიად გამსახურდია. ახლაც რომ დასჭირდეს ქვეყანას, უმალ საბრძოლველად წავალ. სხვათა შორის, დღესაც ერთად ვართ, მსგავს ერთიანობას ვერ ვხედავ დღევანდელ ახალგაზრდებში...

– დაჭრის შემდეგ წამიყვანეს და ვიქვე რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ხერხემალი დამიზიანდა, მარჯვენა ხელი და ბეჭი მომტყნა, 5 ტყვია მესროლეს “AKM”-დან, სიკვდილს გადავრჩი. საავადმყოფოში კარგად მომხედეს. რეაბილიტაციის პერიოდი დიდხანს გაგრძელდა. ავადმყოფობის გამო იძულებით გავერიდე იმ მძიმე დღეებს... 23 და 24 დეკემბერს დაგვარგეთ თანამებრძოლები თევლორე ჯანელიძე და ვეფხია წიქვაძე. რომ გამოვჯანმრთელდი, მეგობრებთან მოვედი ისევ, ისინი აფხაზეთში იყვნენ, უკვე 24-ე ბატალიონში იბრძოდნენ, ტამიშთან იყვნენ, მაგრამ მე არ წამიყვანეს. ის ერთადერთი მოგებულ ბრძოლა იყო, მაგრამ მერე უკან დაიხიეს. შევარდნაძეს შეეშინდა, კიდევ არ გაერთიანდნენო და ერთ დამეს დაკავებულ პოზიციებს მეორე დღეს თმობდნენ. ეს უკვე გამსახურდიას ბოლო დღე-

კარგი, ტაძარი არ იყო დასრულებული, თორემ ჩვენი აშენებული ტაძრიდან გამოასვენებდნენ. კიტოვანებმა, შევარდნაძეებმა, ბოკერიებმა... დაგველუპეს... ბუბა კვაბიძე ჩემი თვალთ ვნახე “მხედრონელებთან”.

– ჩვენი ერთიანობა ზვიად გამსახურდიას დამსახურებაა, ყველა რაიონში მოხდა განხეთქილება, ჩვენი გუნდიდან 5-6 კაცი “მხედრონი” გადგვიდა “ილია მართლის საზოგადოებიდან”, მაგრამ სოხუმში პირველი დაპირისპირება რომ მოხდა, ერთად წავიდით იქ. მერე აუკი ბაქრაძემ მოიყვანა ვიღაც მაღალი კაცი, მე ზვიადს ვახლდი და მესმოდა, ეს კაცი, ჯაბა იოსელიანი, უხელმძღვანელებს “მხედრონის”.

– აუკი ბაქრაძის მთელი ცხოვრება საქართველოს კულტურული განვითარებისთვის ბრძოლას მიეძღვნა...

– ქართულ ჯარს სახელად “მხედრონი” რქმეოდა, ეს იყო ზვიად გამსახურდიას იდეა. ჩვენი ბიჭებიდან იქ ბევრი დარჩა. სოხუმიდან ჩვენ ადრე წამოვედით, მერე უკან დაბრუნებულმა იმ ბიჭებმა თქვეს, იარაღის შესაძენად ფული უნდა ვიმოვიოთო, ზვიადმა იყითხა, ფული სა-

იდან უნდა იმოვიოთ? სამტრედიამი ფულის მეტი რა არისო? დაიწყო ხალხის დაყარება, პოდა, ამ ნიადაგზე ჩვენ და “მხედრონი” ერთმანეთს დაუპირისპირდით. მერე აქ ჯაბა ჩამოვიდა და იყო საქმის გარჩევები.

– როგორ აღმოჩნდით ეკლესიის მშენებელთა რიგებში?


– ზვიად და კობა ძიძიგურებმა ავტომატის კოლონიაში ისწავლეს ეკლესიის მშენებლობა, იცინოდნენ, ციხეში ერთი სიკეთე გაგვიყვია, ჩუქურთმის კვეთა გვასწავლათ. 2000 წელს რომ თქვა ზვიად ძიძიგურმა, ეკლესიის მშენებლობა უნდა განვაახლოთო, ბევრი სიცილით მოკვდა. ციხიდან გამოსულებს რა ფული ექნებოდათ, არაფერიდან დაიწყეთო, თქვა ზვიადმა, გაკეთდება, ამას სამტრედიელები აშენებენო. მუშაობა რომ დაიწყეთო, ხელფასიც არ გექონდა, სიგარეტის ფულის გარდა. ქვეს ხელის ხერხით ვხერხავდით, მერე ერთი ე.წ. “ბარგალა” გამოჩნდა. ავთო აღვიშვალა თავის დას სთხოვა და გამოუგზავნა უცხოეთიდან. საოცრად გაგვიხარდა ეს ამბავი. კობა ძიძიგურმა ქვესის ხერხეა შემასწავლა, 1990 წელს გაიჭრა ტაძრის საძირკველი, იმ დღიდან მშენებლების გვერდით ვარ. მერე შეწყდა მშენებლობის პროცესი, 2000 წელს კვლავ განახლდა, მერე გადასურვამ დიდი დრო წაიღო. ჩემი დამუშავებული სახურავის ყველა ქვა. ზემოთ ცალკე ბრიგადა მუშაობდა. იმ ბრიგადიდან კახა ჯოჯუა და მეველუდ კიკვაძე დაილუნენ, ასე იხება უფაღმა. ისინი ჩვენი ტაძრიდან გამოვასვენეთ. ასე რომ იქა ვარ, 7 თვის წინ კლინიკაში “ჰელსიოლი” გამოვეთეს ოპერაცია, ქართულ-გერმანული კლინიკა, მსგავსი არაფერი მინახავს გვეგონებოდა, შენი უახლოესი ადამიანები იყვნენ მედპერსონალი. იცოდნენ, ეკლესიის მშენებელი რომ ვიყავი, ამას ზემოთ ჰყავს კაციო, ხუმრობით ამბობდნენ. სამი შვილი მყავს და ძალიან კარგი შვილიშვილები. თუ სამშობლოს დასჭირდა, ისინიც სიცოცხლეს გაწირავენ მისთვის. ეკლესიის სამრეკლო დასასრულელები და როგორც კი ექიმები ნებას დამრთავენ, მაშინვე ჩემს მეგობრებს შევუერთდები.

საუბრის ბოლოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა გვითხრა: “სამანაბლოს ქართულ სოფლებში – ზემო და ქვემო ნიქოზში მოსახლეობის დასაცავად პოლიციის ეგიდით წავიდით, მოგვცეს იარაღის ტარების უფლება, ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა, რომ ვინაიდან ოსი სეპარატისტები აწიოებდნენ და მარცხავდნენ ჩვენს მოსახლეობას, მათ დასაცავად შეიქმნა პოლიციასთან არსებული მოხალისეთა რაზმი. სამანაბლოში სამი თვის განმავლობაში შურაბ ჯინჭველიშვილი ჩვენს თანამებრძოლებთან ერთად იცავდა ქართულ მოსახლეობას, რომელიც შევიწროებული იყო ოსი სეპარატისტების მხრიდან.”

9 მარტი იყო მარტი...

1956 წლის 9 მარტი...
 კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ დაიღვრა ქართველი ახალგაზრდების უმანყო სისხლი, ისევ ჩაიკვეს შავი დედებმა, ბოლშევიკური ანტიკომუნისტური პოლიტიკის მხარდებით.
 ჩუმად, უხმაუროდ, მეგობრებისა და მეზობლების გარეშე დაიტირეს მშობლებმა "დამნაშავე" შვილები, წითლად შეიღება მტკვარი.
 ამჯერადაც რუსეთი იყო ყველაფრის ავტორი, უფრო სწორად რუსეთის იმპერიალისტურად, შოვინისტურად მოაზროვნე საბჭოური ელიტა.
 ყველაფერს ქართველთაგანვე ნიუტონის ბრალდებით გაკლენითილი გამოსვლა უძღოდა წინ, რომლითაც დამცრობილი იყო სტალინი და მისი გამზრდელი ქართველი ერი.
 როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ერის რჩეული ახალგაზრდები, საჯიშე ქართველები ემსხვერპლნენ XX საუკუნის ამ ვანდალურ აქტს. დრო გავიდა, დიდი დრო...
 გადაფასდა ღირებულებები...
 ვერავენ წარმოდგენდა, წინ სამაჩაბლო, აფხაზეთი, 2008 წლის აგვისტო და მავთულხლართები თუ გველოდა და აქაც რუსეთი იქნებოდა სისხლიანი ტრაგედიების ავტორი, რეჟისორი, მთავარი მოქმედი პირი.
 62 წელი გავიდა 1956 წლის სუსხიანი გაზაფხულის კიდევ უფრო სუსხიანი 9 მარტის მოვლენებიდან, თუმცა ერი არ ივიწყებს ეროვნული ღირსებებისა და ღირებულებების დასაცავად სიცოცხლის ზეარაკად მიმტან ადამიანებს.
 სამარადისო დიდება მათ!
 "9 მარტის მოახლოება ჩემთვის განსაკუთრებულია.
 დედაჩემი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ანა კორძაძე მაშინ ჩემზე ყოფილა ფეხმძიმედ.
 9 მარტის მოვლენებისას დაჭრილა, სასწაულით გადარჩენილა და სექტემბერში მეც მოვევლინე სამყაროს.
 დედა, რომელიც აგრონომი გახლდათ, ხშირად იგონებდა ამ ამბებს." – გვიყვება ჩვენი გაზეთის მეგობარი, ბატონი ლევან ბუაძე.
 9 მარტი იყო მაშინ, 1956 წლის 9 მარტი.

ლევან ბუაძე



“შვის ყოველი სხივი ზეცის მირონია”

სალი ბეთლი, იგივე სვეტლანა ბალიაშვილი აფხაზეთიდან დევნილი ოჯახში დაბადდა და აღიზარდა. მან საშუალო განათლება სამტრედიის წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის სკოლაში მიიღო. ამჟამად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია.
ნიჭიერი ვოკონა ხატავს, წერს ლექსებს, ჩანახატებს. იყო პროექტის “ქართველი კალიგრაფისტი” გამარჯვებული. მის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადვილი უკავია მუსიკას. თავის მეუღლესთან, ზურა ვოკონიძესთან ერთად არის ბათუმში არსებული მუსიკალური ჯგუფის, “აბილიონის” წევრი. მისი სიმღერები მისივე ლექსების ტექსტებზე იწერება და პოპულარობით სარგებლობს მსმენელებში.
მეითხველს ვთავაზობთ სალი ბეთლის ლექსებს და ჩანახატს.

– გაგიღე, შვილო, ლექსები...
 – როგორ, მამა, როგორ გაგიღო?! ყოველი ლექსი ჩემი გულის თითო ძეგლია, რომლებიც ყოველდღიურად ცოცხლობენ ჩემში. რომელიმე რომ გამოვიყო, მერე პულსსაც ვერ გამისინჯავ ფურცელზე, ვერც ვენებს ეყოფა მელანი და მერე არ ვიცი დღეში რამდენჯერ ვიგრძობ სისხლის მაგივრად სტროფებით ამოტენილ გულს, რომელშიც კალამი ყოველდღიურად მოგზაურობს. კალამი, რომელიც მატარებელია ვენების ვაგონში ჩაბმული და ფურცელადე ატარებს მგზავრებს, რომელსაც შემდეგ მე ვუწვივ რითმებს და ასე იბადება ჩემი ყოველი ლექსი, რომელშიც ჩემსავით ვერავენ იმეგზაურებს.
 თვალს ვახეი, ფიქრი მემართება და ვითხოვ მატარებელს, რაც შეიძლება ჩქარს. ვითხოვ, რადგან ვგრძობ, რომ იბადება ის, რაც შემდეგ ჩემი განუყოფლობა იქნება. ჩემი სრულყოფილება მასშია და მასთან ერთად მყოფ მგზავრებში.
 ისევ გაავსე მღუღარე სიტყვებით ჭიქა, ფერადი გრძობა და ოთხი კოეზი რითმად დაეუბნე. მშვენიერია. რა გაგიბობს ფილტვებს ზამთრის ცივ დღეებში ასე! ჩემს წარმოსახვით ბუხარს შემა შევუკეთე, მოვკალათიდი ფურცელზე და ფიქრი შემოვიხვე. ასე უფრო თბილად ვარ... ისევ ველოდები იისფერ თოვას, რომ ნახევრად შიშველი და ფენშიშველი ვგრძობდე ფიფქების კრისტალს. ასე მგონია, ტყეში რომ ვიყო, ყველაზე მაღალ ხეზე ავიდოდი და ბოლოს და ბოლოს, ჩამოვხსნიდი ჩემს ფრთებს კენწეროდან. რატომღაც დამალა ფრენამ ფრთების გარეშე. მე ჩემი ბუმბულის ფარფალი მინდა შევიგრძნო, მერე კი ისევ იმ კენწეროზე ჩამოვიკიდებ, სადაც დღემდე ვიზახე.

მე მიხმო მიწამ, ზაფხულის სიცხემ, ცვარად და ნამად, დაეშუბე ცივ-ქვე-მარამ ვაი, რომ ისევ და ისევ, მიწას ვერ ვრჩები, კვლავ ცისკენ ვიწვი, მიწა, რად მიწვევ, რატომ მაძიწვ, გამჩენთან თხოვნით რატომ არ მიწვევ?! მე ისევ ცისკენ და მერე პირ-ქვე და ისევ ცისკენ... და ისევ მისკენ... და ისევ მის-კენ. ლაჟვარბი ცისკენ... შორს... სადაც ბოლო გაჩერებისკენ.

მე დღის მანძილზე, ყველაზე მეტად, საღამო მიყვარს გამოსალმების, საღამო დღისა, საღამო ცისა, საღამო მზესთან გამოსალმების.

ჰმირის სიბერე

ვენებგადახსნილ მოგონებებს ვებრძვი ოთახში, თითქმის აღარცერთს შერჩენია ჩვეული სივრცე. მე ყოველ მათგანს კვლავ ვათავსებ ფუნჯის ოჯახში, ნახატზე მეტი ან ლექსზე მეტი მათ რაღა მივცე? ფენშიშველია ჩემი გრძობა მინდორზე ფიქრის, მე აღარ მჯერა უთოვლობის ანგარს ღამით, მწამს იმ სითეთრის და ფრთოსანი მაცდური ფიფქის, რომ ჩამოვა და ხელის გულებს გაყინავს წამით. სახეჩამოშლილ მაკაჟივით ყვირის სიბერე და ჩემს თმაგაშლილ სამყაროზე ქარი ავარდა, შენ, დედამიწა, ციურ ზღვების ბგერით მიმდევ, თორემ თვალებში ხელგაშლილი სევდა ჩავარდა!

ზღურბლს მივას

ფანჯრის ზღურბლზე ვდგავარ გალაკტიონივით, დროის შეჩერება ჩემთვის იოლია, აღარ ავიმდვრევი განა რიონივით?! გამოვმეტყველდები როგორც ირონია. ფანჯრის ზღურბლს მიღმა ხომ ცისარტყელებია, მზის ყოველი სხივი ზეცის მირონია, ზღვა თვალებშია და მიწა ხელებია, ზღურბლს აქეთ კი მხოლოდ სევდის მიწია.

შიშველი ხალი

რბიან დღეები, ნელი ბიჯით ვცდილობ დაწვეას, რაღაც სხვაგვარმა უამქვეფრო განცდამ მიჩვია, შიშველი ხელით უშენობის ვცდილობ დაწვეას, იმ უშენობის წასვლის მერე რომ ვერ მიცვნი. დაეხედავ მერე ამ შიშველ ხელს უტრიირებულს, როგორც ყოველთვის მიჩნდება კითხვა, უფრო ბებრული, სადმე ნაოჭი ხომ არ განჩნდა? ვემბე ღირებულს და მახსენდება მითოლოგია ძველი ბერძნული.

შიშველი ხელი მერე თრთის და რაღაცას ელის, უფრო მათხოვრულ გამოსახვას იღებს იერად, როცა იცის, რომ მას მხოლოდ ისევ გათბობა შეეღის და მერე ხელს მივაშველებ უძალ ცბიერად. ტრივალურად ეს მუღმივ ხდება, როცა ბნელეთში, ჩემი სხეული უშენსხეულო სივრცეს განიცდის, პაერში, ზღვაში, ოკეანეთის ჩამქვრალ ხმელეთში შენ ნათელი ხარ და შენ ხომ ჩემგან წასვლა არ იცი. ამომავალი მზის ღირსი აღარ მჩვევია, აღარც იმ მთვარეს გამერთაღვანტებულს არ ვაკვირდები, რომელიც მუღამ ჩემი უბნის გზების მცველია, აღარც ვარსკვლავებს უწინდელივით არ ვაცივდები. შემრჩა ურიგო მანერები ვით სატირაზე, სიცილნარევი თანაუგრძობი სულიერს ყოველს, რა მოვიფიქრო, ან რაღა ვთქვა თვით სატირაზე, ან რა შევიფიქრო და რა ვუთხრა ლეონტი მროველს. გრანელს რა ვუთხრა, ან ტიცინას, ან თუნდაც გალას, შენს სიყვარულზე რომ შემიბოხნა რაღაც სხვაგვარი? არ გამოუვათ, მე ვერ ვხედავ მათში ამ ძალას, მე რომ მიყვარხარ ის სიყვარული სხვაგან სად არის? ის მოლოდინი ბავშვური გულის, მიხეზი ძეგრის, ყოველ შუალედს რომ უპირებს გადაკერებას, რომ არ მიყვარდე არ მექნებოდა მიხეზი წერის, არ დავეცდიდი ამინდების გადაბერებას. უკვე მრავალჯერ გადავლახე სიყვდილის ხაზი, უკვე მრავალჯერ გავქვეცი დროს გაჩერებულს, და როგორც მგლების სასიყვდილო წრეების ბრანზი, გატანის უნარს ვინარჩუნებ მშვიდს, გაჯერებულს. როგორც დღეები ნელი სრბოლით ვიჩქარებ ბოლოს, სვლას განვაგრძობთ და ბოლო სცენის წვერი გაეხლებით, ყოველ გზაზე კი ჩემშენიურ მოვირგებთ სოლოს და ყოველ სცენის შემოსახვრულ საზღვრებს გავცდებით. რბიან დღეები, ნელი ბიჯით ვცდილობ დაწვეას, რაღაც სხვაგვარმა უამქვეფრო განცდამ მიჩვია, შიშველი ხელით უშენობის ვცდილობ დაწვეას, იმ უშენობის წასვლის მერე რომ ვერ მიცვნი.

გული როდესაც არ იზხარება

გული როდესაც არ იზხარება და გულს არა აქვს თავშესაფარი ვინ იტყვის, უღვთო სურვილს დანებდა მისი უღრუბლო სხივთა დაღანი. გული როდესაც იძენს იმედებს, დანაიმედებ გზას ემყარება, ის შენს ხალისად სულს გაიმეტებს, თუმცა არავის არ ებრალება. და გული მაინც ჩვეულ სიფრთხილეს აანთებს სულის გამოძახებად. და, რა თქმა უნდა, იგი სურვილს ძღვეს, რომ ვეღარ ჩავთვლით უკან დახევად.

ის გზა

ეს გზა პირველი საფეხურია უკანასკნელი ჩემი წადილის, აქ ჩანს, სიცოცხლე როგორ მწყურია, როს იმედი მაქვს წმინდა მანდილის. ეს გზა მწყვერვალს უახლოვდება, აქ ემიჯნება სული განაჩენს, მისი სიმაღლე მზეს უტოლდება და უფრო მეტიც, – მზეს უდარავებს. ეს გზა პირველი საფეხურია, სად ეჭვის ნასახს არ აქვს ადგილი, რომ დანარჩენი განწირულია და არ ენდობა მას შერმაღინი.

ლევან ბუაძე

პირველი სიხიფილისპირველი

“გზაუღებისაუბრ მათედიას სტავა”


(შესავალი)

ითანე საბანისძის ავთოგრაფიული ნაწარმოები ნათელი მაგალითია იმისა, რომ ქვეყნის გადასარჩენად სასულიერო მწერლობა გადააწყვეტს სიტყვას ამბობს სწორედ მაშინ, როცა ქვეყანა განსაცდელშია, დაღუბვის პირასაა!

ითანე საბანისძის ღრმა რწმენით “ჩვეულებსაებრ მამულისა სტავა”, მამა-პაპური თვისება ჭირთა მოთმენისა” ერთადერთი გზაა საქართველოს გადასარჩენისა! თავისუფალ ევროპულ ოჯახში სწორედ ამ სამი ღვთაებრივი საუნჯით დაგმევიდრდებით და შევინარჩუნებთ ინდივიდუალობას... “ენა, მამული, სარწმუნოება” ჩვენი არსებობის ერთადერთი პირობაა!

აღნიშნული ნაწარმოები მეტად აქტუალურია თანამედროვე საქართველოსთვის... ამიტომ მისი ექსპრესიული-ემოციური აღქმისთვის პოეტურ გარიანტს შემოვთავაზებთ, ასევე სრულადაა ჩართული 11-ე ფსალმუნს – ანბანთქება, რასაც წარმოსთქვამს აბო იმ გზაზე, რომელსაც ვაიფლის საპყრობილედან მსაჯულამდე! აღნიშნული ფსალმუნის შინაარსი ნათლად გამოხატავს იმ სულიკვებით, რითაც შთაგონებულია ახალგაზრდა ყრმა არაბი... სწორედ ეს ფსალმუნის ახლოებს უფალოთან, ღვთაებრივ სულის შთაბერავს ქრისტეს რჩეულს.

პოეტური გარიანტი “აბოს წამებისა” ჩემს მოსწავლეებს გაეცანი მას შემდეგ, რაც ნაწარმოები საფუძვლიანად შეისწავლეს. მინდა აღნიშნული გარიანტი თქვენი გახეთის საშუალებით სხვებსაც მოკრძალებით შევთავაზო. “აბოს წამება” საქართველოს სიცოცხლის, არსებობის უპირველეს, ერთადერთ პირობას ვგთავაზობს: “ჩვეულებსაებრ მამულისა სტავას”... “წმინდანების სამშობლო” – საქართველო ამ გზით – ქრისტეს გზით – მარადიულობას დაიმევიდრებს მზისქვეშეთს... სულის გადაარჩენა ფიზიკური გადაარჩენის უპირველესი პირობაა!..



თვალთ ამხილეთ, რომ ვკვრეტდეთ, რა საოცრება გავიცან! მწირი ვარ ქვეყანაზედა, ნუ დამიმაღავ შენს მცნებებს, ჩემს წინააღმდეგ კვლავ “ზგობენ”, ვინც აპყლია ბილწ ვნებებს...

შენი მორჩილი შენს წესებს კვლავაც დაიცავს უცილოდ, ვისაც არ ესმის უფლისა, მანვე სატანას უცქიროს. სხედან და ჩემ წინააღმდეგ იათობიბენ მაგანნი, მე არც კი მაინტერესებს, რას იტყვის ავან-ჩავანნი. მტვერს მიეკრა სული ჩემი, გამაცოცხლე, შემოწყალე, გზანი ჩემნი გაგიცხადე, სამუდამოდ შენ გიწამე, გზა უფლისა ავირჩიე, ყველაფრის წინ დავაყენე, მიერული ვარ შენს მცნებებზე, თუ დავეცი, ამაყენე! ცქერას ამოებისა ჩემი თვალი ააცილე, შენი სიმართლით მაცოცხლე, სიცოცხლისკენ გამაცილე! ვისაუბრებ მეფეთა წინ შენს მცნებებზე, განა მასხედ არს უმჯობეს რომელი? ვლი ხალვათად, არასოდეს არ შემრცხვება, რადგან შენსა სამართალსა მოველი! გაუხსენე მორჩილს სიტყვა, რითაც დამამიდე, მანუგეშე განსაცდელში, მხოლოდ შენ ერთს მოვეწიდე, დამცინონდენ ამპარტავნი, ვინც რჯულს გადაუხვია, ვცადე, თუმცა რას შეასმენ ურწმუნოს და უხიავს! სიმღერებდა იქცა ჩემთვის შენი რჯულის წესები, ჩემსა საცხოვრებელ სახლში აწ უღერს წმინდა ლექსები, შენთა სიტყვათა დაცვა, ვთქვი, უფალო, ჩემი ხვედრი, მთელი გულით შენთან ვარ, შემოწყალე, ამას გვედრი! ვინაც შენი მოშიშა, თანაზიარი ვარ მათი, ვინაც იცავს შენსა მცნებებს, სწორედაც მაქვს მათი ხათრი, ტყუილს “ჩმახვენ” ამპარტავანნი ზიზლით და გესლით, ტლანს არ ივრავს ჩემი სხეული, თუნდ ისევე მეხვრით. კარგია ჩემთვის, რომ ვეწამე... თუნდაც აწ დამწვან ცეცხლში, მე მინდა რჯული შენი ბაგისა, ვიდრე ოქრო და ვერცხლი! შენმა ხელებმა შემქმნა და თან შთამაგონა, უფალო, მოშიშნი გაიხარებენ! უღუთოსა შერცხვეს, უხანოს! რადგან ტყუილად მხაგრავენ, უგანჩენოდ, უწყალოდ, დადნა მლოლინში სული, დადნა თვალნი შენი ცქერით, გამითხარეს ავსულთ ორმო, გადამცელეს ბასრი ცვლით, როდის გასამართლებენ ჩემს მღვეწელებს, ამპარტავნებს, მათი ურცხვი ბოროტება ქრისტიანებს კვლავაც ავნებს, შენი ვარ და შენ მიხსენი, ვეძიებდი შენს ბრძანებებს, მაწამებენ ბოროტები, თუმცა ჩემს სულს ვერ ვანებენ! რარე მივევარს რჯული შენი დღენიდავ საფიქრალი, მტრებზედ მეტად დამპობენ... სიცრუის გზა არის მხდალის! თაფლად ატკობს ჩემს ბაგებს სიტკობი შენი სიტყვებისა, საზრანი გაეხდი, ღმერთო, შენი სიბრძნის ტყვეობისგან, ბოროტებმა შენსა ერთგულს მახე მრავალგზის დამიგეს, შენ მაცოცხლებ, ჩემო ღმერთო, ვიცა, მხოლოდ შენ გამიგებ, ბოროტები შევიძულე, შევიფარე შენი რჯული, შემეწიე, რომ გადავრჩე, შენ გენდობა ჩემი გული, ოქროსა და ბაჯალღოზე მეტად მივევარს შენი მცნება, ვინც სიცრუის გზას მიჰყვება, საბრალოა, ძალზე ცდება, შენი სიტყვით წარმართოს ნაბიჯები გადადგმული, ბოროტს ნუღარ მიბატონებ, ნუ დავრჩები სოფლის მდგური, დამისხენი ჩაგვრისაგან, კვლავ დამიგეს ფეხქვეშ მახე, წყლის ნაკადი დამდის თვალთა, მომამუქე შენი სახე! დამღრღნა ეჭვმა, დაივიწყეს მტრებმა უფლის ეს სიტყვები, განსაცდელი მომეწია, ღმერთო, მხოლოდ შენ გიტყვები, ჩემმა თვალებმა დაასწრეს განთიადსა, შენაც უწყვი, კვლავ ვსაუბრობ შენს ნათქვამზე გულმხურვალივ, როგორც უწინ, ახლოს მომდგენ ის მღვერები, ვინაც რჯულსა ჩამოშორდენ,

ჩემი ტანჯვა იხილე და ურჯულოთგან განმშორე, ჩემი ტანჯვა იხილე და ბოროტისგან დამისხენი, შენი წყალობით მაცოცხლე, ეგ ხუნდები ამისხენი, ვხარობ შენი ნათქვამითა, ვით მპოვნელი ნადავლისა, ყველა გზა კი შენსკენ მოდის, შემეწიე მანამდისა, სიცრუე მძულს, შენი რჯულის ერთგული ვარ მარადისა! შენგან შევლას მე ვნატობდი, რჯული სასიამოვნოა ჩემთვის, დე, იცოცხლოს ჩემმა სულმა, შენს სამართალს სული ერთვის, დაგიბენი, ჩემო ღმერთო, ვითარც ცხვარი დაკარგული, აწ მომძებნე მე მორჩილი გულზე მცნებად დათარჯული... სანამ მსაჯულს ეახლება, აბო კართან შემერდება, ჯვარს გადასწერს კარს, თავადაც უფაღს ლოცვით ევედრება. მსაჯულის წინ დადგა აბო, უშიშარი და ურყევი, ამირა მას შეახსენებს: რწმენა ჩვენი არს ურღვევი!.. რაა ესე სიტკობება, რომ ქრისტესთვის თავსა სწირავ? – შენც იგემებ, თუ იწამებ, სული ზეცას როგორ ფრინავს! თავად მსაჯულს ურჩევს აბო: ეხიარე სიტკობს თავად, განემორე უმეტრებას, რომ არ დარჩე სულით ავად. ამირა კვლავ გააფრთხილებს: – სასიკვდილოდ თავს იმეტებ! – დაე, მოკვდე ქრისტესათვის, ვინაც ღმერთს მაიმედებს, შენი სიტყვა აღარ მესმის, ვერ შემასმენ ვით ამ კვლავს, წმინდა წყაროს დავეწაფე, ცხადში ვხედავ ღვთიურ ედემს! გაწყრა, განისხდა ამირა, ბრძანა თავი მოეკვეთათ. თვითმხილველნი შეადრწუნა, ფეხი ლამის მოეკვეთათ! გახსნეს “საერველთა” შეკრული, აბო სამოსს შემოიხვევს, სასოებით უფლის წინა უმაღ პირჯვარს გადაიწერს. – გმადლობთ, ღმერთო, და მაკურთხე, სამებაო, შენ წმინდაო, ღირს მყავ მეცა შეუერთდე მოწამეთა მათ ღვთისაო! რა ესა თქვა გადაატკობს ჯვარედინად ხელთ ზურგს თვისსა, გაბედული გულით ქრისტეს უმაღ სულით შეეთვისა... სამგზის შემართა მახელი, არ შემდრეკალა წამით აბო... – მე იესოს მივეახლე! – გულში რწმენით ამას ამბობს ჯალათი რომ თავსა მოჰკვეთოს, არ დაჯერდნენ თავის მოჭრას, ქრისტიანებს არ ჩაუგდო აბოს გვამი, ესე ბოჭავთ... ახლა ისევე აღივსნენ და შურით მსაჯულს მოახსენეს: – ქართველები აბოს ცხედარს, როგორც წმინდანს მიასვენებს! სასწაულებს ახდენს მკვდარი, ტყუილებით პატივსა ცემს, ამიტომაც ბრძანეთ, გვამი დასაწავად ჩვენვე მოგვცეს. შიში ჰქონდეს ქრისტიანებს, არ გაბედონ ქადაგება გვიჯობს თუკი მისი გვამი ამ წუთშივე გაქრდება, საგოდებელს აბო დაწვეს, მოწამისა შეკრეს ძელები... უმაღ მტკვარში გადაავდეს, კრავსა გაუსწორდნენ მგლები! შიში მტრისა სძლია ერმა, ყველა იქით მიაშურებს, როგორც ქრისტეს საფლავისკენ... შარავანდელს მია შეუქმბს... მიწას იმავ ადგილიდან, როგორც წმინდას აიღებდნენ, სნეულები განიერუნა, რა წამს ღვთის მადლს მიიღებდნენ. დამის პირველ საათზე კი სასწაული მოხდა უფლის, მოგამაშე ვარსკვლავი ცით ფერფლსა სასოებით უფლის... მორე დღეს, ღმერთო წყალი გამოსცემდა ღვთიურ ნათელს, მტკვრის ზედაპირს უფლის ძალა ცის მნათობზე მეტად ანთებს! ამ საოცარ ნათელს უცქერს თვით ქალაქის ბინადარნი, – მარტვილი არ იესოსი, ძე ღვთაების ვინაც არის! ხუთასწლოვან მორწმუნეებს ქართველთ რწმენა განუმტკიცა, ერმა არაბმა თვით ქართველებს ქრისტეს ძალა დაუმტკიცა! ადრე ამდგარ დღიურ მუშებს, აბო, შენაც არ დააკვდი, სანატრელო მოწამეო, ვით ზვარაკი ზედ დააკვდი, ქართველების სიფხიზლისთვის შემოპკარი მძლავრად ზარი, მეთერთმეტე ჟამის მუშაკს განსხილი გაქვს ზეცის კარი!

თეიმურაზ ჯუღაიძე
ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მსოფლიო ლიტერატურის კავშირის წევრი.
23 ნოემბერი, ბიურჯანა, 2017 წელი
1. ნერსე – ქართლის ერისმთავარი.
2. მუშნი – ხალიფა.
3. მაჰდი – ხალიფა.
4. ზაზარეთი – ჩრდილოეთ კავკასია, ქრისტიანები ცხოვრობდნენ.
5. სტეფანოზი – ნერსეს დისწული, ერისმთავარი.

აბო
(კონტაქტი პარიზში)
აბო ქრისტეს სასწაული უქადაგა სულით მონებს, ვერ არჩევდნენ მარგალიტებს, დაემსგავსნენ იმ ბილწ ღორებს!
ზოგს შიშისგან ადვლებდნენ, ზოგიც ვერცხლით მოაღორეს!
ქართულ სისხლს რომ ადვებდნენ, რწმენას იმათ მოავონებს!
დატანჯულნი ირყვიან, ვით ლერწამნი ძლიერ ქარში
აბო ქრისტეს სიყვარულით ამოუდგა ქართველთ მხარში, არა მარტო მხოლოდ ბერძნებს, ჩვენაც გვერდო ღვთის პატივი:
წმინდანების სამშობლო! ნუთუ გახლავთ ეს მარტვილი?! ბოროტ კაცთა დაბუნდებით ნერსეს დაატყვევებს მუშნი, ქართლს ეხვია არაბები, ვითარც მუხას ირველივ მუშნი... უფლის ნებით მუშნი მოკვდა, ნერსეს გამოიხსნის მაჰდი! სწორედაც რომ ღვთის წყალობა... ღვთის რჩეული, მას რომ ახლდა.
ნერსეს, ქართლის ერისთავსა, ბაღდათიდან ის ჩამოკვდა, ქართულ სულსა შეეთვისა, ქრისტიანებს დამოყვრა, ხაზარეთში მოინათლა ყრმა არაბი ქრისტეს რჯულზე, სარეინოზებს ეცნობებათ, შურისგება აწვთ გულზე, სადაც სულის ზეიმია – აფხაზეთში ნერსეს ახლდა... შენზე შურსა იძიებენ! არ დაბრუნდე თბილისს ახლა! ცოცხალს სოფლად!
მიჰყავთ აბო დასაყთხად, ცრემლით მიაცილებს ხალხი, სხეულს, ვით მკვდარს, დაჰყურებდა, ცას ეფინა გლოვის თაღი.
მიჰყავთ არაბი ჭაბუკი ამირასთან დასასჯელად, ღვთის ფსალმუნებს გულით ამბობს, დღემდე ვისიც არა სჯერათ:
– ნეტარ არიან გზიანი, დადიან უფლის რჯულზედა, მის მცნებებს უფრთხილდებიან, თან ითარჯავენ გულზედა.
ცუდიც არ ჩაუდენიათ, არ უცხოვრიათ ავად, არ შემრცხვებოდა, თუ ვიღწვი წესდების დასაცავად. რით შეინახოს ყმაწვილმა სიწმინდე თავისი გზისა? გულით დაგემებ, უფალო, ვიფერებ სხივებს შენს მზისა! ჩემს ბაგეებით ვაწვდიდი სამართალს შენი პირისას, მცნებათა გზაზე ვხარობდი, ვით ქონებაზე ძვირისა. მიეც სიკეთე შენს მორჩილს, მუდამ შენს სიტყვას დავიცავ.

ვაზის სრამლებით გალუგებული პოეტი

ლევან გაბუნია

დიდი ხანია ვიცნობ, იმ დროიდან, დიდი ჯიხ-აიშის საშუალო სკოლაში რომ მუშაობდა დირექტორის მოადგილედ.

უმადლესი პედაგოგიური განათლების მიღების შემდეგ ილია ლევანის ვიწრო მანძილზე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა.

ყოველი რაიონის სოფელ დუცხუნის, სამტრედიის რაიონის სოფელ ქვინისა და სამტრედიის ქალაქის მეცხრე საშუალო სკოლების დირექტორი.

პირველი ლექსები გასული საუკუნის 70-იან წლებში დაბეჭდა და იმთავითვე მოიპოვა მკითხველთა პატივისცემა.

მრავალ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული პოეტის ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდებოდა ადგილობრივ და ცენტრალურ ჟურნალ-გა-

ზეთებში.

“ილია ლევანის პოეზიის თაფურცელი სატრფიალო ლირიკა, სადაც ბატონობს ბუნებრივი მშვენიერებით სავსე სილამაზე, წრფელი ინტონაციები, გრძობების გამოხატვის არაორდინალური ვარიანტები... პოეტი აქტიურად ეხმარება ქართული ეროვნული სულის გამოვლენას და მყარად დგას ქართული მეობის საფუძვალზე, იგი მძაფრად განიცდის ერის სულიერ დაცემას, მაგრამ იმედით შეჰყურებს მომავალს”. – ვკითხულობთ ერთ-ერთ წერილში პოეტის შემოქმედებისადმი რომაა მიძღვნილი.

მარად ხალისიანი, ალალი, მეგობრისა და მეგობრობის მცოდნე და გამტანი კაცია ილია ლევანის პოეტი. განსაკუთრებით ნაყოფიერია მის შემოქმედებაში ბოლო ათწლეული. არაერთი ლექსით გამდიდრა პოეტმა სიტყვაკაზმული ქართული მწერლობა.

დღეს ცენტრალურ პრესაში ბევრი იწერება იმის შესახებ, რომ თანამედროვე შემოქმედთაგან ცოტანი თუ არიან დაინტერესებულნი საბავშვო თემატიკით, ვინც ბატონ ილია ლევანის შემოქმედებას ახლოს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ პოეტი ავსებს ამ სიცარიელეს.

კაცი, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება მომავალი თაობების აღზრდას მიუძღვნა, ახლა ცეროდენა გოგო-ბიჭების ცხოვრებით ცხოვრობს, გულთან მიაქვს მათი სიხარული, ოცნებები და ლამაზი, სულში ჩამწვდომი სტრიქონებით ეფერება მათ.

იუბილარია ამ დღეებში ილია ლევანის. გულწრფელად, პატივისცემით ვულოცავთ მას დაბადების დღეს, ჯანმრთელობას, ბედნიერ დღეთა სიმრავლეს ვუსურვებთ ნორჩების პატარა გულბის ცემანზე მიფურადებულ პოეტს. მრავალეპიერი!



გულით ნაღვრი სტრიქონები

ბატონ ტარიელ დვალის ნამდვილად არ სჭირდება სამტრედიელთა წინაშე წარდგენა. ერთ დროს წარმატებული ფეხბურთელი ამჯერად მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციის თავმჯდომარეა. უყვარს ხელოვნება, პოეზია, სულაც არაა საკვირველი, რომ იგი მუნიციპალიტეტში გამართული ინტელექტუალურ-შემეცნებითი ღონისძიებების წმირი და სასურველი სტუმარია.

ახალგაზრდა ქალბატონი გამაცნო ამ დღეებში, ბატონმა ტარიელმა.

სპეციალობით იურისტ-მენეჯერი ვარ, ამჯერად სამტრედიის მეთხვე ბაგა-ბაღში ძიძად ვაუშაობო, – გაგვიცნო ქალბატონი თონა ჭანტურია და მორიდებით საკუთარი ლექსები გადმოგვცა.

დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეებს უულოცავთ ქალბატონ თონა ჭანტურიას და მის რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ მკითხველს.

ლევან გაბუნია

მსგავსი შხმენა არ მიპოვია

ატმის ყვავილის თოვამ გამიანა, სევდა მომგვარა, ფიქრს მანია, ასე მგონია, ძველმა ტყვიელმა და სიყვარულმა გადამიარა. ასე მგონია ატმის ყვავილმა ასე ლამაზად მიტომ იფეთქა, სულ გამაგიჟოს უნდა ტიალმა, მარტო დამტოვოს ამ ჩემ ფიქრებთან. ასე ლამაზად რამ ავაყვავა? თითქოს ვარდისფრად დაუთოვია. ატმის ყვავილო, მე ხომ ამ ქვეყნად მსგავსი მშვენიერება არ მიპოვია.

იმერული მასპინძლობა

არ არსებობს ამ ქვეყნად მასპინძლობა ჩვენი მსგავსი, იმერული სადღევრძელი: გაიხარე, გამიმრავლდი. მობრძანდი და გამახარე დამიჯექი აქანეო, არ შეწუხდე, წყაღე მოგიტანს, რას მიეუთებს ბაღანეო, აგერ სუფრა მადლიანი გაიშალა უცებ სახლში, ხაჭაპური იმერული, სულუგუნი, ცხელი მჭადი. დედალი და ბაყეს წვენი მწვანელი თუ ლავაშიო, შავი ღვინით დამთვრალ სტუმარს, ტახტს უშლიან “ხალაშიო”. დაილოცოს იმერული მასპინძლობის დიდი მადლი, მოსვლა შენი ნება იყო, ვინ გაგიშობს აწი სახლში. გაიხარეთ იმერლებო, გულიანი, სიტყვის თქმაში.

საპლიანი ძალი

ქალაქში სადაც ხმაბალა ატირებულა ქალი, მისი ლამაზი თვალები სევდას მოუცავს ბრალით. ქუჩას მოაპობს შრიალით, თავს ვერ იკავებს ქარი. ქალაქში სადაც ხმაბალა ატირებულა ქალი. ალბათ გიჟია საწყალი, ანდა მთვრალია, მთვრალი, ნუგემის ნაცვლად ყოველთვის მასვე დაადეს ბრალი.

თონა ჭანტურია

ახერხებს იყოს ჩვეულებრივიც და ყველასგან გამორჩეულიც

ჩვენი ფოლადის მაგისტრალის მრავალათასიან კოლექტივს არაერთი სახელოვანი რეჟისორი ქალი ამშვენებს, რომლებსაც გარკვეული წვლილი შეაქვთ რეჟისორის ტრანსპორტის შეფუთვებულ მუშაობაში, მათ რიცხვს, ვინაც მრავალი წელი ემსახურება თავის საქმეს, სადგურ “სამტრედიის” მთავარი ბუღალტერი მანანა ნადირაძე მიეკუთვნება. ამიერკავკასიის რეჟისორის 24-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ის სწავლას აგრძელებს ბათუმის საბუღალტრო სასწავლებელში. რეჟისორი მამის რჩევით სადგურ “სამტრედიის” დაიწყო მუშაობა. თავისი პროფესიით იგი დღესაც ძალიან ამაყობს, წლებმა ბევრი მეგობარი შესძინა, თავადაც ხომ საოცარი ბუნების ადამიანია. კოლექტივი, სადაც ქალბატონი მანანა 40 წელია მუშაობს და 200 კაცია დასაქმებული, მისთვის მეორე ოჯახია. მშვენიერი ქალბატონი მაქსიმალური ყურადღებით ეკიდება საბუღალტრო საქმეს, მით უმეტეს, რომ პასუხისმგებლობაც დიდია. სწორედ საქმის სიყვარულისა და მისთვის ჩვეული შემართების წყალობით შეძლო მანანა დიდი ავტორიტეტის მოხვეჭვა. იგი მართლაც კოლორიტული პიროვნებაა – სამტრედიის მას პატივისცემით ხვდებიან, უხმო სითბო და დადებითი ენერჯია მოდის ამ მომხიბვლელი ქალბატონისაგან, რომელიც შესაშური ენერჯიულობით ახერხებს იყოს ჩვეულებრივიც და ყველასგან გამორჩეულიც. ქალბატონი მანანას მეუღლე საგაგონო დეპოშია დასაქმებული, ვაჟიშვილმა სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, ხოლო ქალიშვილი წელს ამთავრებს ამავე უნივერსიტეტს.

არ შეიძლება ქალბატონ მანანასთან ერთად არ დავასახლოთ რეჟისორის დასავლეთ რეგიონის საწარმოების სალომონოტივი, საგაგონო, საღვინდგარი, ელექტროფიკაციის, კემბრგამბმულობის, ელექტროსამონტაჟო, სტს, სადგურის საწარმოებში მომუშავე ქალბატონები: ნინო ყვან-ეიშვილი, ელენე ფახურაძე, ელენე ვაშაყიძე, ნათელა ჯაში, ნინო, ფატი და ციალა კობალეიშვილები, მანანა კვაჩიანიშვილი, მადონა ხაბეიშვილი, ირმა ჩხვიკაძე, ნანი ანდრელიანი, მზია სულაქველიძე, თამთა გაბუნია, ლამარა ქალდანი, მარინა ლომსაძე, ქეთევან თავაძე, ლილი სტურუა, ლიანა კვაჩიანიშვილი, ციცილო კაკულია, ნარგეზა ტონია, ნინო სესიაშვილი, მედეა გეგია, ევლინა დარსაველიძე, ნადეჟდა სუთიძე, ციცილო კორხიძე, ლეილა მარჯანიშვილი, ნატო სიგუა, მანონ მიქაძე, თამარ სანიძე, მანანა გეგეშიძე, სესილია ღუნდუა, თინათინ მგელაძე, ციცილო ლაღანიძე, ქეთევან ნოღია, მანანა გაგუა, მაია ბაყრაძე, ქრისტინე ნადირაძე, დოდო ინაური, რეჟისორი სადარაჯოზე მდგარი ექიმები ირინა დვაძე, ნანა ცირეკიძე, დარეჯან ნინიძე, მარინა ფოფხაძე, მაგული წვერაძე, ოლია ბერძენიშვილი და სხვები. ვულოცავთ მათ დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს, ვუსურვებთ ბედნიერებას, ხანგრძლივ ცხოვრებას და სიყვარულს.

ლევან გაბუნია

დედის მონატრება

გაბუნია დიდი სიმარტული რაზ დავიკოს თინა ჩხვიან

ჩვენ ერთმანეთი ერთად გაგზარდეთ და შევაბერდით ერთმანეთს თითქმის, ჩემო დედიკო, ნეტავ, იცოდე, მე უშენობა დღეს როგორ მიჭირს. ვერ ვაპატიებ ცხოვრებას ბოროტს, დღეს შენ რომ ასე უჩემოდ გხედავ, გაოგნებული ვუხილით, ცრემლით, აღსაკვე მზერა მუდამ დამეყვება, ტანჯვით გადადილი ცისფერ თვალების გამოუთქმელი გამოტრეხება. სითბოთი სავსე გეგზურწლები, ჩემო დედიკო, უჩემოდ გინანავს ახლა სევდიანს, ცხადად გხედავ და გლოცავ შორიდან, ჩემი სიცოცხლე შემოგვლდება. დამე გამტყდარი, ვეღარ ვისვენებ, დღეს უშენობა ჩემი ხვედრია, შენი ჭაღარა, შენი თითები, შენი ბუზღუნიც მომნატრებია. მე უცხოეთში გადახვეწილას ვოველდამ შენი მაცოცხლებს ლოცვა, აქ მილამაზებს დამეებს, სიხმრებს, შენი ფერება და ჩემი კოცნა. ყველაზე დიდი სიტკბოც, ტკივილიც მანდ დამრჩენია, ჩემო დედიკო, ბევრი ვარამი, ცოცხლად სიყვდილიც ცხოვრებამ ერთად გამოგვკატარა. მიყვარხარ მარად, შენ ჩემო ფესვო, და ამას გწერ შენი პატარა. ჩვენი ბოსტანიდან – აყვავებული ტყელების სუნი და ნაწივი მისი სურნელი, ბუხარში ცეცხლის ტკაცუნი მესმის, საკაპურიდან შორს ცამდე ადის კვამლის ღრუბელი, სისხლის ყვილი არ მომასვენებს, ჩემს სამშობლოში მოვალ შორიდან, ალბათ, ნაწამებ სულს და სიყვარულს, სხვა უკეთესს კი ვერ ჩამოვიტან. შენ რომ არ შემხვდე, შენ რომ არ დამხვდე, ვერ გადავიტან! ვერ გადავიტან!

ლევან გაბუნია

იმერული სარაინო გიგლიძის მითრისობა

რეზო დიდიას ხსოვნას

ხშირად გვსტუმრობდა რედაქციაში, საკუთარ ნაზრევს გე-აცნობდა. მერე საუბარიც აეწყოდა და...

სწუხდა ბატონი რე-ზო დიდა ქართველთა შორის გაუტანლობის, გა-ხშირებული კრიმინალის, დაცარიელებული სოფლ-ების, ჩამქრალი კერების გამო.

სოფელი ტოლები და შავის ტყე კი მისთვის სა-მითხის ტოლფასი იყო, არც იყო საკვირველი, მი-სი აყვანი ხომ სწორედ ამ სოფელში დაიარა.

... ბოლოს რომ გვესტუ-მრა, აშკარად ეტყობოდა, ავადმყოფობა მორეოდა, თუმცა, მაინც ომახიანად საუბრობდა.

ახლა მისძინე, შეილო (ასე მომმართავდა), დი-დი ხანი არ მაქვს ამ ქე-ყვანაზე, რომ გაიკვებ ჩემს გარდაცვალებას, ორიოდ სიტყვა გაიმეტე ჩემთვის და ლექსების რეუელი დამილო მაგიდაზე. ნახე, ეს ფოტო თქვენმა კოლეგამ შოთიკო პაპავამ დამიხატა, სურათად ეს გამოიყენეთო.

არ იყო იოლი დიდი ხნის ნაცნობისაგან ამ სიტყვების მოსმენა.

რეზო დიდა გარდაიცვალა, ალალ-მართალი, ფუტკარივით მშრომელი, კარგი ოჯახის კარგი თავკაცი, დიდი წვლილი რომ მიუძღვის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის მშენებლობა-ში.

თანაუგრძნობთ მის ოჯახს და უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს ბატონი რეზოს სული.

ლევან გაბუნია



სამსახურიედი ეახისტი გოგონები ევიე იმაიეებენ

2018 წლის 23-24 თებერვლას აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქ ბაქოში ჩატარდა საერთაშორისო ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში "მაცუშიმას თასი". მასში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, ირანის, კუვეიტის და საქართველოს წარმომადგენლები. მათ შორის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტსკოლის კარატეს ჯგუფის წევრები: მარიამ გოგიტაური, მანანა მუქერია და მწვრთნელ-მასწავლებელი სენსეი მიხეილ ქანთარია.

წარმატებით იასპარეზეს მარიამ გოგიტაურმა და მანანა მუქერიამ, რომლებმაც გოგონათა შორის 55 კილოგრამამდე და 60 კილოგრამს ზემოთ წონით კატეგორიაში მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული და დაიკავეს პირველი ადგილები.

მანანა მუქერიას გადაეცა პრინცი "საერთაშორისო ჩემპიონატის საუკეთესო მეტროლი გოგონათა შორის" ჩემპიონები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებით და "მაცუშიმას" სახელობის თასებით.

სანსეი მიხეილ ქანთარია



სამსახურიედიემა მოქაიხაეებმა საქიხოველოს ჰიხეელობის საგზუიხი მოიპოვეს

25 თებერვლას დასრულდა იმერეთის ჩემპიონატი 8, 12 და 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს შორის. 16 წლამდელთა შორის მე-3 ადგილზე გავიდა სამტრედიელი გიორგი ელაშვილი (მწვრთნელი ნინო ჯვარშიევილი). გიორგიმ ამ გამარჯვებით მოიპოვა საქართველოს პირველობაზე მონაწილეობის უფლება.

ამავე ტურნირში 8 წლამდე ასაკში, მონაწილეობდა იმერეთის ჩემპიონი 7 წლიანებში 6 წლის ლუკა რუხაძე, რომელმაც ტოლი არ დაუდო მასზე ორი წლით უფროს მოჭადრაკეებს და 9-იდან 6 ქულით ამ ასაკში მოიპოვა საქართველოს პირველობის საგზური (მწვრთნელი ბესო ლეყავა).

ეულოცავთ ნიჭიერ სამტრედიელ მოჭადრაკეებს და მათ მწვრთნელებს ამ წარმატებას და ეუსურვებთ საქართველოს ჩემპიონობას!

**გულუოცავთ
ჯახისის აკადემიის წევრი**



PHOTO SALON DIADEMA

Paata Cercvadze

**სამტრედიეში, ჭავჭავაძის ქუჩის № 3-ში
ფუნქციონირებს ფოტოფილო სტუდია
"დიადემა"**

**სადაც მოგამსახურებთ ფოტოგრაფი,
ლიზაინერი პაატა ცერცვაძე.
ტელ.: 598 50 39 52.**

ეულოცავთ!

პაა სანიიკიუს!

დაბადების დღეს ეილოცავთ საუკეთესო კოლეგას, მეუღლეს, დედას. უამრავი ლამაზი გაზაფხული მოგივლინოს არსთა გამრიგემ. მრავალი სიყვარულით და სიბოთით აღსავსე თებერვლის დილა! დმერთი იყოს შენი ლამაზი ოჯახის შემწე და მფარველი, იხარე და იბედნიერე!

"სამტრედიის აკადემია"

ბატონ ალექსანდრა ბანაბას!

88 წლის შესრულებას ეილოცავთ, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ეისურვებთ.

მეტრედიის რაიონული აკადემია

ეილოცავთ დაბადების დღეს, ხანგრძლივ სიცოცხლესა და ოჯახურ ბედნიერებას ეისურვებთ.

"სამტრედიის აკადემია"

სამტრედიის ქალთა საზოგადოებას პატივისცემით ეულოცავთ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებს.

უღრუბლო ზეცა დაგნათოდეთ ძვირფასო ქალბატონებო.

მეტრედიის რაიონული აკადემია

ტარიელ რაიშივილს!

დაბადების დღეს ეილოცავთ, დმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მფარველი.

ნაილას რეზეს აკადემია



მადლობა!

იმ დიდი სიყუთისთვის, ჩენი შვილების უსაფრთხოდ ცხოვრებისთვის, მომავალი თაობის ზრუნვისთვის № 4 ბაგა-ბაღის მშობლები მადლობას ეუხდით ქ. სამტრედიის მერს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

**რაიონის მისაგართი:
სამტრედიე, რისაუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839**



დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქიქიძეან ჭაილიძე
გამომშვეები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლეჟან ბაბუნაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე